ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა
13 მაისი
№ 111
(17456)
ფასი 2 კაპ.

აქტიურად აღვზარდოთ შემოქმედებითი ცვლა

ჟურნალში გამოქვეყნებული შთამაგონებელი ლექსების ციკლი, რომელსაც ხელს აწერს ახალი ავტორი. ამაღელვებელი მხატვრული ფილმი, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა დადგა. ბრწყინვალედ შესრულებული როლი თანამედროვე თემის სპექტაკლში — თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულის დებიუტი. ფერწერული ტილო, რომელმაც დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო — წინათ უცნობი მხატვრის ნამუშევარი... მშვენიერებასთან რამდენი ასეთი დასახსომებელი შეხვედრა ხდება ჩვენს დღეებში! მხატვრული შემოქმედების ყველა დარგში მტკიცედ შემოაბიჯებენ ხოლმე ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები, რომლებიც ცდილობენ მკაფიო სახეებით აღბეჭდონ საბჭოთა ხალხის ცხოვრება, ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის სულიერი სილამაზე.

მრავალფეროვანია ახალგაზრდა ტალანტების აღზრდის ფორმები და მეთოდები, რომლებიც ყოველმხრივ შემოწმებულია პრაქტიკით. ამას წინათ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და მწერალთა კავშირმა მოაწყვეს ახალგაზრდა მწერალთა VII სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სამასზე მეტი პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი — ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები. თათბირმა დიდი დაინტერესებისა და დამწყები ავტორებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების ვითარებაში ჩაიარა, ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა ქვეყნის ახალგაზრდა ლიტერატორთა ცხოვრებაში. მეგობრული რჩევა-დარიგებანი, გამოცდილი მწერლების მიერ ნაწარმოებების მკაცრი გარჩევა შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის ოსტატობის ნამდვილი სკოლა იყო.

კარგ ტრადიციად მკვიდრდება ახალგაზრდა მხატვართა ზონალური, რესპუბლიკური გამოფენების მოწყობა, ამასთან წარმოდგენილი ნამუშევრების განხილვა ავტორებისა და მათი მასწავლებლების მონაწილეობით. მიმდინარეობს საქმიანი მზადება ახალგაზრდა მხატვართა ნაწარმოებების სრულიად საკავშირო გამოფენისათვის. ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებების დათვალიერება მოსკოვში, ბაშკირეთში, თათრეთში; ნორჩ მუსიკოსთა ზონალური კონკურსი ქალაქ კიროვში; ამიერკავკასიის ახალგაზრდა კინომუშაკთა სემინარი, რომელიც ბაქოში მოაწყო სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, — ვერც კი ჩამოთვლი ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ახალი ტალანტების გამოვლენას, შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს და შემოქმედებითი კავშირების მუშაობის დადებითი გამოცდილება. მათი ერთობლივი მეცადინეობით შექმნილია შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი, სადაც არის სექციები ხელოვნების სახეობათა მიხედვით. ცენტრი წარმატებით ასრულებს თავის ამოცანას — წარმართოს ახალგაზრდა ხელოვანთა მუშაობა, დაეხმაროს მათ ორგანიზაციული და მატერიალური თვალსაზრისით. აქ მთავარი ის არის, რომ საქმეს კომპლექსურად უძღვებიან, ესე იგი მჭიდროდ არის გაერთიანებული იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, გათვალისწინებულია შემოქმედებითი შრომის სპეციფიკა. ახალგაზრდა პოეტები, პროზაიკოსები, ფერმწერები, კომპოზიტორები, კინოსცენარისტები — შინაური ადამიანები არიან მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი ქარხნების საამქროებში, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში. განა თქმა უნდა იმას, თუ როგორ ეხმარება ეს ახალგაზრდობას შემოქმედებითს ძიებაში, როგორ აზიარებს მას ცხოვრებისეულ პრობლემებს, ამაღლებს პასუხისმგებლობას თითოეული ნაბიჯისათვის ხელოვნებაში.

ПРАВДА

12 მაისის მოწინავე

პრაქტიკა მოწმობს: შემოქმედებითი ცვლის აღზრდა კარგად არის დაყენებული იქ, სადაც ესმით, რაოდენ რთულია დამწყებთა პირველი ნაბიჯები დიდ ხელოვნებაში, სადაც შექმნილია კეთილმოსურნეობისა და მომთხოვნელობის ვითარება, სადაც ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ნიჭი მტკიცდება ცხოვრებისეული გამოცდილებით, კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში. რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ეს გახდეს პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, კულტურის ორგანოების, შემოქმედებითი კავშირების ყოველდღიური მუშაობის უცილობელი წესი. ამას გვავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამოქვეყნებული დადგენილებაც „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ხალხი, პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისაგან, მათ შორის ახალგაზრდებისაგან, მოელიან ახალ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებშიც ნიჭიერად იქნება ასახული საბჭოთა ხალხის საგმირო საქმენი. ჩვენ გვჭირდება დროის სიმართლით შთაგონებული წიგნები და ფილმები, ფერწერული ტილოები და ქანდაკებანი, სპექტაკლები, მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებშიც უნდა ფეთქავდეს ხელოვნის მგზნებარე გული.

საქმის ინტერესები მოითხოვს მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური წრთობის შემდგომ სრულყოფას, მარქსისტულ-ლენინურ განათლებას. ამ დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, პარტიის საქმისადმი, კომუნისტური იდეალებისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისადმი ერთგულების ჩანერგვას. ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვანი — ეს არის მაღალი ზნეობრივი თვისებების ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყით, ხალხთა მეგობრობის გრძნობით, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული კულტურისადმი პატივისცემით, უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობით.

ხელოვანთა ახალი თაობის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ლიტერატურისა და ხელოვნების წამყვან ოსტატთა ყველაზე აქტიური მონაწილეობის გარეშე. მათი შემოქმედებითი და ადამიანური ავტორიტეტი, ცოდნა, მდიდარი გამოცდილება უდიდეს როლს ასრულებს ახალგაზრდა ხელოვანთა იდეურ, ესთეტიკურ და პროფესიულ აღზრდაში. მიხეილ შოლოხოვი და ლეონიდ ლეონოვი, ტიხონ ხრენიკოვი და გიორგი სვირიდოვი, სერგი გერასიმოვი და ნიკოლოზ ტომსკი, სულეიმან რუსტამი და პეტრუს ბროვკა — საბჭოთა კულტურის ეს და სხვა თვალსაჩინო ოსტატები განუყრელად არიან დაკავშირებული ბევრი ხელოვნის ბედთან, რომლებიც ახლა უკვე ნაყოფიერი და დამოუკიდებელი გზით მიდიან.

სწორი იქნება, თუ შემოქმედებითი კავშირები კიდევ უფრო მეტად დაუჭერენ მხარს ნიჭიერ ახალგაზრდობას. უფრო მიზანმიმართულად და ეფექტიანად უნდა მოვაწყოთ ახალგაზრდა ტალანტების თათბირების, სემინარების, დათვალიერება-კონკურსების მუშაობა. შემოქმედებითი ცვლის აღზრდას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა, ჩვენმა კრიტიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა. პარტიული კომიტეტების ვალია მუდამ ყურადღების ცენტრში ჰქონდეთ ეს საკითხები, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ახალგაზრდა მხატვრული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებას, ცხოვრებასთან მისი ურთიერთობის განმტკიცებას.

როცა ახალგაზრდა შემოქმედებითს მუშაკებზე ლაპარაკობდა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ მათგან მოველით ახალ ქმნილებებს. და ეს იქნება მათი ფასდაუდებელი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში“.

განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში ნიჭის განვითარების ყველაზე სასიკეთო პირობებია შექმნილი. მათთვის ზრუნვა დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე გახდა. და ეჭვი არ არის, რომ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა, ისევე როგორც ხელოვანთა უფროსი თაობები, მაღლა ატარებენ საბჭოთა ხელოვნების ლენინური პარტიულობისა და ხალხურობის დროშას.

ურთიერთგაგების ვითარებაში

11 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო მეფე ჰუსეინ ბენ თალალის სპეციალური წარმომადგენელი — იორდანიის ჰაშიმიტის სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ჰ. იბრაგიმი.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობისა და სსრ კავშირისა და იორდანიის თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე.

სახელოვანი საბჭოთა სტუდენტობა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მებრძოლი რაზმია.

ლ. ი. ბრეჟნევი

გუშინ, 12 მაისს, თბილისში გაიმართა საქართველოს სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრება.

სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ი. ლაკობა (აფხაზეთი), დ. ჩიხრაძე, დ. ბუიძე (გორი), ზ. გაბუნია (აფხაზეთი), ს. ბლაგოვა (გორი), ა. გიცბა (აფხაზეთი), ჩ. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთი), ზ. ხურცილავა (აფხაზეთი), ფ. ბიტიევა და მ. ჩლაიძე (სამხრეთ ოსეთი).

ვლ. გინზბურგის ფოტო.

მიზანი: სპეციალისტი, ღირსეული მოქალაქე

რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში 186 სპეციალობის 84.841 სტუდენტის სწავლა-აღზრდას 7.315 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება.

რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა მარტო შარშან გამოუშვეს 14.285 ახალგაზრდა სპეციალისტი.

სტუდენტი—სპეციალისტი, სტუდენტი-მოქალაქე, სტუდენტი-მებრძოლი... ეს ცნებები გახდა ჩვენი სტუდენტობის საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ავანგარდული რაზმის ცხოვრების საზომი. სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში სტუდენტს, ზრდის კომკავშირი. ასე იყო ყოველთვის — პირველი ხუთწლედების დროს, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებშიც, როცა გუშინდელმა სტუდენტმა კონსპექტი იარაღით შეცვალა და საომრად წავიდა, და იმ ძნელბედობის დროსაც, როცა ქვეყანა ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა და ესოდენ სჭირდებოდა ახალგაზრდების მარჯვენა. ასეა ახლაც, როცა კომკავშირი ზრდის მცოდნე, დიდად განათლებულ ადამიანთა ახალ, დღევანდელ თაობას.

კომკავშირი ყოველთვის იყო და არის პარტიის, სახელმწიფოს ერთგული თანაშემწე უმაღლესი სკოლის აღორძინებასა და განვითარებაში, სპეციალისტთა კადრების მომზადებაში. და თავის მაღალ მისიას იგი განუხრელად უკავშირებს იმას, რომ თითოეული ახალგაზრდა კაცი აღიზარდოს მოქალაქედ, მებრძოლად, რომელიც ძლიერი იქნება თავისი იდეური მრწამსით, მაღალი ზნეობრივი იდეალებით, დიადი მიზნის — კომუნისტური საზოგადოების აშენებისადმი ერთგულებით.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ახლა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კომკავშირის კომიტეტებმა მტკიცედ და თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ ლენინის უკვდავი ანდერძი — „ვისწავლოთ კომუნიზმი“, იდეური გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობის ყველა ჯგუფზე, აღზარდონ ისინი პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

ჩვენი სტუდენტობა [illegible] აქვს სხვა ამოცანები, გარდა იმისა, რომლებსაც პარტია უსახავს ხალხს, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობას. დღევანდელი სტუდენტი — ეს არის მომავალი მეცნიერი, წარმოების მეთაური, აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი, რომელმაც ხალხთან ერთად, ხალხისათვის, ხალხის ინტერესებისათვის უნდა განაგრძოს წინა თაობების მიერ დაწყებული საქმე, ღირსეულად ატაროს მათი შესანიშნავი გამარჯვებების ესტაფეტა.

სწორედ ამ აზრით იყო თავიდან ბოლომდე განმსჭვალული სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრების მთელი მუშაობა, რომელიც 12 მაისს გაიმართა თბილისში. კრების მონაწილეებმა განიხილეს საკითხი „სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა და „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული მოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ“.

საზეიმოდ მორთულია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. თვალს ხიბლავს ტრანსპარანტები. ერთ-ერთ მათგანზე წარწერილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „სახელოვანი საბჭოთა სტუდენტობა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მებრძოლი რაზმია“. მეორეზე ვკითხულობთ: „მიზანი — მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ღირსეული მოქალაქე და აქტიური პოლიტიკური მებრძოლი!“.

დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი სტუდენტობის 90 ათასიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები, რესპუბლიკის ცხრამეტივე

(დასასრული მე-2 გვ.).

სახალხო მეურნეობის ახალგაზრდა დარგი

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. ი. შოკინი. იგი ეწვია დარგის საწარმოებს, შეხვდა მუშებსა და სპეციალისტებს, გამოიკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ამხ. შოკინი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს.

საქართველოში მოგზაურობის დროს ამხ. შოკინს თან ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ა. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

დისციპლინა და ეფექტი

● წლის პირველი ოთხი თვის შედეგები ● მოწინავეთა მაგალითის სამებრ ● რეზერვი თავისით არ ვლინდება

სამეურნეო წელი სულ უფრო უახლოვდება თავის ეკვატორს. უკვე შეიძლება ლაპარაკი გარკვეულ ტენდენციებზე, ხუთწლედის მეოთხე წლის საგეგმო დავალებათა თავისებურებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე.

დამახასიათებელი თავისებურებაა მიმდინარე წლის წარმოების ინტენსიფიკაცია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მაღალნაყოფიერი, მაღალორგანიზებული შრომით უნდა მივაღწიოთ.

ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა — ეს არის პასუხისმგებლობა ხუთწლედის ბედისათვის, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის. როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, თითოეულ მუშაკს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად მონაწილეობას სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობით **4 თვეში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 26,8 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 22 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების მატებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპმა შესაბამისად 6,6 და 5,9 პროცენტი შეადგინა, რაც საგრძნობლად აღემატება საგეგმო მაჩვენებლებს.**

სამრეწველო პროდუქციის სადღეღამისო წარმოება შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,5 მილიონი მანეთით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიღებულია პროდუქციის მატების 78,8 პროცენტი (შარშან ამ პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი 66,7 პროცენტს შეადგენდა).

არანაკლებ თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ **უკანასკნელი წლის მანძილზე ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ფაქტიურად გაორკეცდა და 17,5 პროცენტს მიაღწია. ეს კი თითქმის უტოლდება ინდუსტრიის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებებით ნაკისრ მიჯნას ხარისხის სფეროში. პირველი კვარტალის მონაცემებით თბილისის სამრეწველო საწარმოებში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წონამ 18,5 პროცენტს მიაღწია, ხოლო ქუთაისში 30 პროცენტს გადააჭარბა.**

ქუთაისელები კარგა ხანია ტონს იძლევიან, მუშაობის ხარისხობრივი გარდაქმნის ალამდარად გვევლინებიან, და ეს მარტო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის მაღალი პროცენტით როდი გამოიხატება. იგივე შეიძლება ითქვას ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის, ამ სფეროში მუშაობის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავების თვალსაზრისითაც.

დღეისათვის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა დანერგილია რესპუბლიკის 103 საწარმოში. განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს ეს სისტემა „საქელექტრომანქანაში“, ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და პურკომბინატში, თბილისის № 1 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკებში.

წინასწარი ვარაუდით წლის ბოლომდე ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა მთლიანად დაინერგება რესპუბლიკის 200 სამრეწველო საწარმოში.

სამეურნეო პრაქტიკა დაბეჯითებით ადასტურებს, რომ სტაბილურ წარმატებებს, მუშაობის მაღალ ტემპსა და მაღალ ხარისხს ის საწარმოო კოლექტივები აღწევენ, სადაც განსაკუთრებით ზრუნავენ შრომის, საწარმოო და საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

არაფერი არ ახდენს საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე ისეთ კეთილისმყოფელ გავლენას, როგორც ყოველდღიური ზრუნვა, ყოველდღიური აღრიცხვა, მუშაობის ავ-კარგის ყოველდღიური გამომზეურება. შეჯიბრების საჯაროობა სანიმუშოდ არის დაყენებული თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“.

თუ თვალს გადავავლებთ გაერთიანების გაზეთ „ელექტრიკოსს“, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიქციოს სპეციალურმა რუბრიკამ — „შრომის დისციპლინის დღიური“. ამგვარი დღიური ყოველდეკადურად ქვეყნდება და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს თითოეული საამქროსა და უბნის რეალურ მდგომარეობას შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების სფეროში.

გაერთიანების სამეურნეო მაჯისცემა ოპერატიულად, რომ იტყვიან, „ცხელ კვალზე“, მოწმდება, მუშაკთა შრომითი ჰაქრობა კოლექტივიზმის, ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთებით არის გამსჭვალული. აქ ყოველ ორშაბათობით ეწყობა „დისციპლინის დღე“, საამქროებში, უბნებსა და ბრიგადებში იმართება შეკრებები, სადაც განიხილება კვირის მანძილზე დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. შემოღებულია „საზეიმო დღეც“. ამ დღეს აჯილდოებენ იმათ, ვინც განსაკუთრებით გამოირჩევა მაღალორგანიზებული შრომითა და სანიმუშო დისციპლინით.

კარგი მეურნე მარტო დღევანდელ დღეზე როდი ფიქრობს. მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები თუ ერთმანეთს არ შეუხამდა, ისე მუშაობის მაღალ ხარისხს ვერ მიაღწევ. მუშაობის ამგვარ წესს ამკვიდრებენ თბილისის ქარხანა „მიკროძრავაში“. აქ წარმატებით დანერგეს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რომლის წლიური ეკონომიკური ეფექტი 50 ათას მანეთს შეადგენს. საწარმო ამჟამად შეუდგა უფრო რთული, ყოვლისმომცველი სისტემის — წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური სისტემის დანერგვას.

„თითოეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან მთელი კოლექტივის შრომის მაღალ ეფექტიანობამდე“ — ამ დევიზით შრომობს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ 4 საამქრო. ხუთწლედის პრობლემებისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა აძლევს საშუალებას საწარმოო კოლექტივს იბრძოლოს „დარგის საუკეთესო საწარმოს“ სახელის მოსაპოვებლად.

რიტმულად შრომობს ხარისხის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა. როსტოველთა გამოცდილებამ (რომელიც ბრიგადების, უბნებისა და საამქროების უჩამორჩენილებოდ მუშაობასაც გულისხმობს), მოიცვა 63 ბრიგადა, 9 უბანი და 2 საამქრო. აქ თითოეულ საწარმოო ბრიგადას, მუშაკს აქვს თავისი პირადი სამუშაო გეგმა, რომელიც განიხილება საწარმოო თათბირებზე. ჩვეულებრივ, ისინი ნაკისრ ვალდებულებებს იცავენ კომპეტენტური კომისიის წინაშე, საწარმოში საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილების იმ თეზისს, რომ ამაღლდეს პასუხისმგებლობა ფაქტების გაშუქებისადმი მკაცრი და ობიექტური მიდგომისათვის, დადებითი და კრიტიკული შეფასებების დასაბუთებისათვის.

სამწუხაროდ ამ შინაგან რეზერვებს ყველგან როდი იყენებენ. უფრო მეტიც, ზოგან თვიდან თვემდე თომბენ ადრე მიღწეულს, ვეღარ აკმაყოფილებენ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მოთხოვნებს. და რა გამოდის? რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივების უმეტესობის მუყაითობას, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისადმი მისწრაფებას მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს, აუფასურებს ჩამორჩენილი საწარმოების დიდი ოდენობა.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს წარმოების და რეალიზაციის საგეგმო დავალებანი, რამდენადმე შემცირდა (შესაბამისად 44-დან 42-მდე და 50-დან 47-მდე), მაგრამ სამჯერ გაიზარდა მათ მიერ მიყენებული ზარალი. თუ შარშან 4 თვეში ჩამორჩენილმა საწარმოებმა წარმოების გეგმის შესრულებას 6.673 ათასი მანეთი დააკლეს, წელს ეს თანხა 22.160 ათას მანეთამდე გაიზარდა.

ვერა და ვერ დააღწია თავი ჩამორჩენას ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანამ. შარშან 4 თვეში საწარმოო კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მილიონ 764 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, წელს კი იმავე პერიოდში გეგმის შესრულებას მილიონ 639 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლო. შარშან გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანამ ქვეყანას დააკლო 192 ათასი მანეთის პროდუქცია, წელს — მილიონ 651 ათასი მანეთისა. დიდი გარღვევა აქვს საგეგმო დავალებათა შესრულებაში გაერთიანება „ჩარხმშენებელს“, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკას, საგარეჯოს სამშენ მასალათა კომბინატს და სხვ.

მართალია, ზოგან ჩამორჩენას ობიექტური მიზეზებიც განაპირობებს (ელექტროენერგიისა და მასალების ნაკლებობა, ურიტმო მიწოდება), მაგრამ ჩამორჩენას მეტწილად საწარმოთა არაორგანიზებულობა, უყაირათობა, უთავდარიგობა განაპირობებს. შორს რომ არ წავიდეთ და ყველაფერი მომწოდებელს და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებულ ხარვეზს რომ არ დავაბრალოთ, განა ყველა საწარმო იჯერს რიტმული მუშაობის თადარიგს, უნარიანად იყენებს ეკონომიკურ სანქციებს იმ მომწოდებლების მიმართ, რომლებიც ჩვენსავე რესპუბლიკაში არიან?

ერთ-ერთ ყველაზე დიდ ნაკლად რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევები უნდა მივიჩნიოთ. რესპუბლიკაში ყოველი მეხუთე საწარმო არღვევს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებას. ოთხ თვეში სახელშეკრულებო ვალდებულებები ვერ შეასრულა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა 43 პროცენტმა, საშენ მასალათა მრეწველობის — 62,5, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა 47,2 პროცენტმა.

ახლა, როცა პრაქტიკულად ხორცს ისხამს სახალხო მეურნეობის, კერძოდ მისი ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს საერთო მიღწევებს ისევ უკან ეზიდება. წლეულს 4 თვეში წარმოების დონე შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირა 189 საწარმომ (საწარმოთა 21,7 პროცენტმა). საგულისხმოა, რომ ამ 189 საწარმოდან 174-ში წარმოების შემცირებას თვით გეგმა ითვალისწინებდა.

ანალოგიური მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების ზრდის სფეროშიც. რესპუბლიკის საწარმოთა თითქმის მეოთხედმა დათმო შრომის ნაყოფიერების ზრდის შარშან მიღწეული დონე. იშვიათი როდია ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ჩანაფიქრის პირდაპირ საწინააღმდეგო სურათი: მუშაკთა რიცხვის ზრდის პარალელურად მცირდება... წარმოების მოცულობა. მაგალითად, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშაკთა რიცხვი 4,1 პროცენტით გაიზარდა, წარმოების მოცულობა კი 10,8 პროცენტით შემცირდა; ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 4,4 და 8,3; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში — 7,1 და 11,9 პროცენტს და სხვ.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ წლეულს რამდენადმე შესუსტდა შემხვედრი დაგეგმვის პრინციპების ქმედითობა. შარშანდელთან შედარებით წელს შემხვედრი გეგმა გაცილებით ნაკლებმა იკისრა და, ცხადია, მათი წვლილიც ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებასა და ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, თუმცა შემხვედრი დაგეგმვის რა ეფექტიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საკავშირო დაქვემდებარების 11 საწარმომ 4 თვეში წარმოების საგეგმო დავალების შესრულებას თითქმის 16 მილიონი მანეთი დააკლო.

როგორც ვხედავთ, მიღწევისა და ნაკლოვანებების თანაფარდობა ყველგან და ყოველთვის პირველის სასარგებლოდ როდი იცვლება. ჩვენ არ გვმართებს არც თვალის დახუჭვა ამ ნაკლოვანებათა მიმართ და არც იმით დამშვიდება, რომ წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი სრულყოფის საკმაოდ სოლიდური რეზერვები გვაქვს.

რეზერვებზე მარტო კი არ უნდა ვილაპარაკოთ, უნდა გამოვავლინოთ, ავამოქმედოთ, ფასეულობად ვაქციოთ! ამას მოითხოვს მეათე ხუთწლედის ინტერესი, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ ექვსგზის გამარჯვებული რესპუბლიკის პრესტიჟი.

მრეწველობის ზოგიერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი 1978-1979 წლების 4 თვეში

	1978 წლის 4 თვე	1979 წლის 4 თვე
პროდუქციის სადღეღამისო წარმოება	22,3 მლნ მან.	23,8 მლნ მან.
სამრეწველო პროდუქციის მატება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	7,2%	6,6%
შრომის ნაყოფიერების ზრდა	4,8%	5,2%
შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიღებული სამრეწველო პროდუქციის მატება	66,7%	78,8%
ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა	9,0%	17,5%
წარმოების გეგმის შესრულებას ჩამორჩენილმა საწარმოებმა დააკლეს	6.673 ათასი მან.	22.160 ათასი მან.

მიზანი: სპეციალისტი, ღირსეული მოქალაქე

(დასასრული)

უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები. მათთან ერთად აქ არიან პროფესორ-მასწავლებლები, რექტორატების, დეკანატებისა და კათედრების, უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, კომკავშირის საოლქო, საქალაქო კომიტეტების მდივნები.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები, სწავლის ფრიადოსნები და სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ჟღერს მუსიკა, აქტივის კრება საქართველოს თითოეული უმაღლესი სასწავლებლისაგან იბარებს პატაკს. სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტი მ. ლომიძე პრეზიდიუმს აბარებს საქართველოს სტუდენტობის გაერთიანებულ პატაკს იმის შესახებ, თუ რა ამოძრავებს დღეს რესპუბლიკის სტუდენტობას, რით არის აღსავსე მისი სადაგი და საზეიმო დღეები, ასახულია უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის დიდი და სახელოვანი საქმეები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ჟ. კ. შარტავამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. მემანიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერკლუბის ვიცე-პრეზიდენტი, სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ი. ღვინერია, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ე. კობახია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი ზ. იაკობაშვილი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ბ. ბერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის წევრი ნ. გაბარაევა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, ახალგაზრდობის დამრიგებელი დ. გვრიტიშვილი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. ახალაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატების — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ — მთავარი რედაქტორი თ. კვაჭანტირაძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი გ. სახანბერიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში მ. ჩიბურდანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ვ. ოკუჯავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ლ. ტატუნაშვილი, მწერალი თ. ჭილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი ლ. ნადარეიშვილი, ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა ინჟინერი, შახტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე რ. დოლიძე.

სტუდენტთა აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

რესპუბლკის სტუდენტთა აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით აქტივის მონაწილეებმა მიიღეს წერილი-მიმართვა XXI საუკუნის სტუდენტობისადმი, წერილი-მიმართვა, სხვა მასალებთან ერთად, რომლებშიც ასახულია სტუდენტთა აქტივის კრების მუშაობა, საგანგებოდ შეინახება კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში წარწერით: „გაიხსნას 2017 წლის 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-100 წლისთავის დღესასწაულის დღეს“.

* * *

კრების მონაწილეთა პატივსაცემად გაიმართა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ვაშენებთ, მაგრამ...

— **საქართველოს** სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილის **ა. ერგემლიძის** სტატია **„ვაშენებთ, მაგრამ...“.**

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მთელი რიგი ფაქტები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ორგანიზაციები სისტემატურად ასრულებენ გეგმებს, **ხოლო მშენებლები მიუხედავად** ამისა ხშირად უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით. სამწუხაროდ, ეს ასეა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სამინისტროები და უწყებები (დამკვეთები) პროექტს ამზადებენ ერთი ობიექტისათვის, ვეგმაში კი შეაქვთ მეორე. მომავალში ასეთ პრაქტიკას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, რადგან მას მივყავართ არა მარტო მშენებლობის ნორმალური წარმოების **შეფერხებისაკენ**, არამედ ბევრი ფუჭი **საპროექტო**-საძიებო სამუშაოს შესრულებამდე, რაც, ცხადია, სახელმწიფო სახსრების **გაუმართლებელ** ხარჯვას იწვევს.

თავის მხრივ, საპროექტო ორგანიზაციები არცთუ ისე იშვიათად უშვებენ შეცდომებს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაში, რაც შემდგომში საპროექტო გადაწყვეტილების შესწორებას და ობიექტის მშენებლობის ღირებულების გაზრდას იწვევს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში დაშვებული შეცდომებისა და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაზრდის გულმოდგინე ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს შეცდომები უმეტეს წილად გამოწვეულია თვით დამკვეთი ორგანიზაციების ინერტულობითა და არაკომპეტენტურობით, ეს საკითხები სახმშენს არაერთგზის აღუძრავს სათანადო ორგანიზაციების წინაშე, მაგრამ შესამჩნევ შედეგებს ჯერ ვერ მივაღწიეთ.

რაც შეეხება საკუთრივ დამპროექტებლების შეცდომებს, მათ გამოსასწორებლად და საერთოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის ასამაღლებლად საქართველოს სსრ სახმშენის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ და განხორციელებულ იქნა მრავალი ღონისძიება, კერძოდ, ფართოდ იქნა დანერგილი ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენება. პროექტებში სამშენებლო ნორმების დაცვის მიზნით შემოღებულია ნორმო-კონტროლის მეთოდი, დასანერგად მზადდება ხარისხის მართვისა და ავტომატიზაციის სისტემა და სხვ.

სამწუხაროდ, როცა პროექტირების დროს დაშვებულ შეცდომებზეა ლაპარაკი, ჩვეულებრივ, ანგარიშს არ უწევენ მის გამომწვევ მიზეზებს. მაგალითად, საპროექტო ორგანიზაციებს თითქმის მთელი პირველი კვარტალის განმავლობაში საწყისი მონაცემებისა და დამტკიცებული სატიტულო სიების უქონლობის გამო საშუალება არა აქვთ შეუდგნენ ახალი ობიექტებისათვის დოკუმენტაციის დამუშავებას, თუმცა ეს დოკუმენტაცია დამკვეთს გასული წლის აგვისტოში უნდა ჩაბარებოდა. ასეთ პირობებში, ცხადია, არის ხოლმე იერიშობანა.

სახმშენი ყოველწლიურად ამოწმებს საპროექტო ორგანიზაციების მუშაობას, მათ მიერ ნორმებისა და სტანდარტების მოთხოვნების დაცვას.

1977 წელს შემოწმდა „საქსახ[illegible]მშენპროექტი“, „სოიუზკურორტპროექტის“ საქართველოს ფილიალი, „ტურისტპროექტის“ თბილისის ფილიალი და ჯანდაცვის სამინისტროს საპროექტო კანტორა.

შარშან შემოწმდა მსხვილი საპროექტო ორგანიზაციების — „საქალაქმშენსახპროექტისა“ და „საქსოფლმშენსახპროექტის“ მუშაობა. შემოწმების შედეგები განიხილა კომიტეტის სხდომამ და დაისახა ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სახმშენი ამ მხრივ კვლავაც განაგრძობს საქმიანობას, რათა სისტემატურად მაღლდებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ხარისხი.

რაც შეეხება საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ხარისხს, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ხარვეზები დღესდღეობით მაინც გვაქვს.

დაბალია ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ექსპერტთა მუშაობის ხარისხი. სათანადოდ არ ხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვა-შემოწმება. არის ხოლმე შეცდომები დასკვნებში და სხვა.

სახმშენი თავისი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიიჩნევს საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტირების გაუმჯობესების საქმეს და ამ მხრივ სისტემატურად ანხორციელებს სათანადო ღონისძიებებს.

სტატიაში აგრეთვე სრულიად მართებულად არის აღნიშნული, რომ ბოლო წლებში კი არ მცირდება, არამედ იზრდება საცხოვრებელი სახლების ხარვეზებით ჩაბარება. ეს ეხება არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ ნებისმიერ სხვა სამშენებლო ობიექტებსაც. ამიტომ სახმშენის სამშენებლო ინსპექცია იძულებულია შეაჩეროს ზოგიერთი ობიექტის აგება სამშენებლო ნორმების უხეშად დარღვევის გამო.

ასეთი მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ მთელ რიგ ობიექტებზე მეტად დაბალ დონეზეა როგორც საავტორო, ასევე ტექნიკური ზედამხედველობა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მეტი წილი საიჯარო და დამკვეთი ორგანიზაციები ცდილობენ ხარისხის ხარჯზე ხელოვნურად დააჩქარონ დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარება.

სტატიაში მოყვანილია აგრეთვე რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ციფრები, რომლებმაც არ შეიძლება არ დაგვაფიქროს.

იმისათვის, რომ კაპიტალურ მშენებლობაში აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, საჭიროა ერთობლივი, საგულდაგულოდ მოფიქრებული, მეცნიერულად გააზრებული და გეგმაზომიერი გადამწყვეტი ზომების მიღება. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას. ამ აზრის სისწორე კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X[illegible] პლენუმმა, რომელმაც განიხილა კაპიტალური მშენებლობის საკითხები. დასახა ნაკლოვანებათა დაძლევის რეალური გზები და ამ ამოცანების გადაწყვეტაში საქართველოს სსრ სახმშენის როლი.

მშენებლობის ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად ქმედითი ზომები განხორციელდება.

გ. მირიანაშვილი,
საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

ყვირილას მეორე სიცოცხლე

ერთი საუკუნეა იმერეთის გულსავსე ზეგნები უხვად იძლევა ჩვენს პლანეტაზე საუკეთესო ხარისხის მანგანუმის მადანს. ახლა საბადოები თანდათანობით ღარიბდება. ულევილი არც ბუნებით ბოძებული სიმდიდრეა, და ერთდროულად დადგა დღის წესრიგში დაუყოვნებლივ გადასაჭრელი ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემები.

კონცენტრატის ხარისხის ამაღლების მიზნით ამ საუკუნის დამდეგს დაინერგა მოპოვებული მადნის სველი წესით გამდიდრება. პირველად იგი პრიმიტიულად წარმოებდა, შემდეგ კი წამოიმართა ვეებერთელა გამამდიდრებელი ფაბრიკების რიგი, საიდანაც გამომდინარე მანგანუმის ნარჩენებიანმა შლამმა გააბინძურა მდინარე ყვირილა.

უკვე რვა ათეული წელია ყვირილას პირას განლაგებული ქალაქების, დაბების და სოფლების მცხოვრებთ არ უსარგებლიათ მდინარის სუფთა წყლით. იქთიოლოგების დასკვნით მინიმუმამდე შემცირდა ამ საკმაოდ დიდი მდინარის თევზის მარაგი, რადგან გაჭუჭყიანებულ წყალს მანგანუმის ნარჩენებთან ერთად მიჰყვება ტალის ზეთის ნატრიუმის მარილი, სოლარის ზეთი და თხევადი მინის დაბალი კონცენტრატები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრობლემის ეკონომიკური მხარე. ყოველწლიურად მდინარეში ჩაედინება ერთი მილიონი კუბური მეტრი მანგანუმიანი შლამი, რომელშიც ლითონის შემცველობა 5-8 პროცენტს შეადგენს. ეს არის ასიათასობით ტონა ძვირფასი ნედლეული, რომელსაც მდინარეს ვატანთ და გარემო ბუნებასაც ვაბინძურებთ.

განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთობა მეცნიერულ საფუძვლებს ეყრდნობა და განმტკიცებულია კანონით.

ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველთაგანია მთელ კავშირში, რომელმაც ჯერ კიდევ 1958 წელს მიიღო კანონი ბუნების დაცვის შესახებ. ამ პრობლემას მიეძღვნა სხვა მრავალმნიშვნელოვანი ღონისძიებებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია შარშან მოწყობილ რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას.

სახალხო მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემა საუკეთესო პირობებს უქმნის წიაღის სიმდიდრეთა ეფექტიან და ყაირათიან გამოყენებას, მაგრამ სამწუხაროდ, მუდამ მარჯვედ როდი ვიყენებთ მას. როგორც ჭიათურელ სამთოელთა მაგალითით ჩანს, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია მადნის გამდიდრების შედეგად გამოწვეული დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: შემუშავებულია თუ არა ტექნოლოგია დანაკარგების სრული ლიკვიდაციისათვის? რა თქმა უნდა, მაგრამ მისი საბოლოო განხორციელება რატომღაც ჭიანურდება. მივყვეთ ფაქტებს:

1969 წლამდე მდინარე ყვირილას შლამის სახით მიჰქონდა 12-15 პროცენტის შემცველი მანგანუმის ლითონი. ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მწყობრში ჩადგომით ყოველწლიურად მდინარეს გამოვტაცეთ 270 ათასი ტონა მანგანუმის კონცენტრატი. ახლა მიმდინარეობს ამ ფაბრიკის რეკონსტრუქცია მწარმოებლობის ორჯერ გაზრდის მიზნით. 1981 წლიდან ფაბრიკა გადაამუშავებს წლების განმავლობაში დასაწყობებულ მილიონობით ტონა მშრალ ნარჩენებს, ე. წ. „კუდებს“, რის შედეგადაც კონცენტრატის გამოსავლიანობა 540 ათას ტონას მიაღწევს. ამასთან, მდინარე ყვირილაც გასუფთავდება, ვინაიდან შლამს გადატუმბავენ მშენებარე სპეციალურ შლამსაცავში, სადაც მოხდება მისი დალექვა.

მეცნიერული აზრის უდიდეს გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ შლამსალექი მეურნეობის მოწყობა. იგი დააპროექტეს უკრაინის „წყალარხპროექტმა“, სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა, „მძიმმრეწველექტროპროექტმა“ და „საქსახპროექტმა“.

სამთოელთა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით წინასოფელში ახლა გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს სამუშაოები. მშენებლობა გარდამავალია და 1968 წლიდან დღემდე მხოლოდ 5.700 ათასი მანეთია ათვისებული. საერთოდ კი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 13.300 ათასი მანეთია.

უდიდესი მასშტაბის სამუშაოები გვაქვს შესასრულებელი, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მმართველმა ჯ. რაზმაძემ, — დასალექი კაშხალის მოცულობა 28,6 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რომლის ნახევარი პირველი რიგის ობიექტად არის მიჩნეული და 1980 წლისათვის უნდა დამთავრდეს.

კაშხალის სიმაღლე 30 მეტრი იქნება. მის ტანში 68,4 ათასი კუბური მეტრი ქვა და 4 მილიონი კუბური მეტრი სილა ჩაიწყობა.

გაივლის კიდევ ერთი წელი და შავი, ჭუჭყიანი ყვირილა ანკარა და დაწმენდილი განაგრძობს თავის საუკუნოვან გზას. კაშხალის ტანში დალექილი მილიონობით ტონა მანგანუმის შემცველი შლამი კი, რომელიც ელექტროქიმიური მეთოდით გამდიდრდება, ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის სამსახურში ჩადგება, რითაც შეივსება საბადოების გაღარიბებით მოსალოდნელი ძვირფასი მადნის დეფიციტი.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხავერდოვან პლანტაციებში

აჭარელმა მეჩაიეებმა დაიწყეს ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. ხელვაჩაურის რაიონის დიდ სუბტროპიკულ მეურნეობებში — ახალშენის, ურეხის, თხილნარის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის პირველივე დღეებში გადაჭარბებით სრულდება ყოველდღიური ნორმები, რომლებიც შერჩევითი კრეფისათვის არის დაწესებული.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა დაიწყეს აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობასა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მეურნეობებში.

აჭარელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მეოთხე წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 58.500 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ეს მაჩვენებელი შარშანდელზე 277 ტონით მეტია.

სურათზე: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის მეჩაიეები ნარიკო ვაშაკიძე, გუგული საფარიძე და ნაიმე საფარიძე კრეფენ ჩაის ფოთოლს. აჭარულმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წელს ნაცვლად 820 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 1000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ნ. ანასტასიევის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თითოეული პასუხისმგებელია

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

ბრძოლა სამინისტროს საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცედ, გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად არ მიმდინარეობს. ამიტომ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლები, პრინციპული სჯა-ბაასი იყო ამ საკითხზე.

იქ, სადაც ხელმძღვანელობა მთელი სიმკაცრითა და აქტიურობით ებრძვის სახელმწიფო ქონების ხელყოფას, — აღინიშნა კოლეგიის სხდომაზე, — ჩვეულებრივ კარგად მიდის საქმე. მაგრამ მთელ რიგ ობიექტებში ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა დაუდევრობის გამო მიშვებულია მატერიალურ ღირებულებათა პირველადი აღრიცხვა, ირღვევა ძირითადი ფონდების, ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის წესები, დროულად არ ავლენენ დანაკლისის ფაქტებს, ხოლო იმ პირთ, რომელთა ბრალია მატერიალური ზარალი, არ სჯიან. ასეთი დარღვევება იყო სოხუმისა და ბათუმის ხორცკომბინატებში, ცხინვალისა და გაგრის რძის ქარხნებში, დმანისის მეთაურ ყველ-კარაქის ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „თბილისრძეში“ და სხვა საწარმოებში.

არაერთგზის შემოწმებით დადგინდა პირუტყვის მიღების პირობების უხეში დარღვევები გორისა და ცხინვალის, ბათუმისა და სამტრედიის, წყალტუბოსა და სხვა ხორცის გადასამუშავებელ საწარმოებში.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, პროფილაქტიკური ზომების მიღება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის საქმიანობის გაძლიერება.

იზრდება კოლმეურნეთა პენსიები

მომავალი წლის პირველი იანვრიდან „კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად რესპუბლიკის 165 ათას კოლმეურნეს მოემატება პენსიები.

საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარებების განყოფილების უფროსს ა. ძებისაშვილს სთხოვა განემარტა ეს ფაქტი და მოეთხრო, როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეთა პენსიების შესახებ ახალი კანონმდებლობის მომზადება და განხორციელება.

— როგორც ცნობილია, — თქვა ა. ძებისაშვილმა, — კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნა 1965 წლიდან დაიწყო. ამჟამად რესპუბლიკაში საკოლმეურნეო პენსიას იღებს ათეულ ათასობით კაცი. წელს კოლმეურნეთა პენსიების და სხვადასხვა დახმარებისათვის დაიხარჯება 102 მილიონ მანეთზე მეტი — 78 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად საპენსიო მომსახურების მასშტაბი. 1971 წლიდან საკოლმეურნეო პენსიების მაქსიმალური მოცულობა იმ სახელმწიფო პენსიათა დონემდე გაიზარდა, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს ენიშნებათ. 1973-1978 წლებში კიდევ მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგრამ კოლმეურნეთა პენსიების მინიმალური ოდენობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დადგენილ პენსიებს. ამჟამად საკოლმეურნეო პენსიების შესახებ ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობათა წევრებს პენსიების მაქსიმალური ოდენობა საშუალოდ ორმოცი პროცენტით გაუდიდდებათ, აგრეთვე პენსიები დაენიშნებათ კოლმეურნეობების ეგრეთ წოდებული შერეული სტაჟის მქონე ყოფილ წევრებს, რომელთაც კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მუშაობის საერთო სტაჟი აქვთ. ამასთან დასახულია პირველი ჯგუფის ინვალიდ კოლმეურნეებს, რომელთაც მოვლა ესაჭიროებათ, დაერიცხოთ დანამატი.

კოლმეურნეობათა ყოფილ წევრებს, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო პენსიას არასრული შრომითი სტაჟით იღებენ, მომავალი წლის პირველი იანვრიდან სურვილისამებრ შეეძლებათ საკოლმეურნეო პენსიაზე გადავიდნენ.

(საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიღწეული წარმატებებისა და საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

ალმოევს კარაპეტ ვართანის ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამმართველოს უფროს ინჟინერ-ენერგეტიკოსს, **ლაფანაშვილს** ვალერი სერგოს ძეს — პოლკოვნიკ-ინჟინერს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს განყოფილების უფროსს, **სარუხანოვს** ბორის პეტრეს ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროექტის სანტექნიკური განყოფილების უფროსს, **ჩალიგავას** გიორგი ტიმოთეს ძეს — სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორისა:

ჰედიას შალვა შალვას ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროექტის მთავარ არქიტექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:

პივოვაროვს ვასილ მაკარის ძეს — თადარიგის პოლკოვნიკს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა:

ქსოვრელს გიორგი დავითის ძეს — საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის კურსების უფროს მასწავლებელს, **შაპოშნიკოვას** ელენე ალექსანდრეს ასულს — თბილისის წითელდროშოვანი არტილერიის მეთაურთა სასწავლებლის გერმანული ენის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:

ტაბიძეს შალვა ლავრენტის ძეს — პოლკოვნიკს, საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმისა:

ტიტოვს ვლადიმერ ვლადიმერის ძეს — პოლკოვნიკს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სავეტერინარო სამსახურის უფროსს.

„პარტიული სიტყვა“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის **„პარტიული სიტყვის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით — **სოფლად იდეურ-პოლიტიკური მუშაობა — სადღეისო მოთხოვნების დონეზე.**

რუბრიკით **„ყამირი: წელი 25“** ჟურნალში გამოქვეყნებულია გ. ციბაძის წერილი — მოქალაქეობრიობის ღრმა შეგნებით.

განყოფილებაში **„ჩვენი ხუთწლედების სიდიადე“** დაბეჭდილია პოლიტინფორმატორ **მ. სოფრომაძის** საუბრის ჩანაწერი, კონსულტაცია, სანიმუშო თემატიკა სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე გამოსვლებისათვის. აქვეა დაბეჭდილი **ჯ. მიხანაშვილის** სტატია — პირველი კვარტალის შედეგებიდან დასკვნები გამოგვაქვს **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად“** — ასეთი რუბრიკით არის გამოქვეყნებული **ზ. უოფიანის** წერილი — აგიტაცია საგიტაციო კადრებთან მუშაობის ქმედითი ფორმაა.

ჟურნალის ახალ ნომერს აქვს აგრეთვე განყოფილებები: **„ეფექტიანობა და ხარისხი“, „მასალები სიტყვიერი გამოსვლებისათვის“, „დამრიგებლობას — ფართო გზა“, „ეკონომია და მომჭირნეობა ყველგან და ყველაფერში“, „პოლიტიკური აგიტაციის თეორია და მეთოდიკა“, „ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ“, „აღზრდის თემაზე“, „ჩვენი ცნობა“.**

დეპუტატი და ცხოვრება

არც ერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!

რუსთაველ მეტალურგთა მოწოდება მოქმედებს

ამ ერთი წლის წინათ, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის მშრომელთა თავყრილობაზე, ერთხელ კიდევ მკაცრად იმსჯელეს იმ თანასოფლელთა შესახებ, რომელთაც ზურგი შეაქციეს საზოგადოებრივ შრომას, მხარი არ აუბეს რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ მოწოდებას: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“, განაგრძობენ კერძომესაკუთრულ, ანგარებითს საქმიანობას, სპეკულაციას, გამოძალვას, წამგლეჯაობას.

ყრილობას რაიონის პარტიულ და სამეურნეო აქტივთან ერთად ესწრებოდნენ ისინიც, ვისკენაც მიმართული იყო კრიტიკის მახვილი. ამ უკანასკნელებმა პირობა დადეს, რომ ჩაებმებიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ასეც მოხდა, ბევრი დაუბრუნდა კოლმეურნეობას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ნუკრიანელთა მიმართვას — მხარი დაუჭირონ რუსთაველთა თაოსნობას, ბრძოლა გამოუცხადონ მუქთახორებს — სწრაფად გამოეხმაურა მთელი რაიონი. სოფლის ყრილობებზე, კრებებზე ერთხელ კიდევ შეამოწმეს ამ მხრივ გაწეული მუშაობა, მკაცრად გააფრთხილეს საზოგადოებრივი შრომის თავისამრიდებლები.

სადაც ეს საქმე ხელში აიღეს და ბოლომდე მიჰყვნენ მას, სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ტიბაანის სასოფლო საბჭო, რომელსაც სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინისათვის შარშან რაიონის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

საწყენი ის არის, რომ ყველამ ასე გულთან ახლოს როდი მიიტანა საქმე, დაივიწყა ნათქვამი, დანაშაულობებს წაუყრუა და ამ ბოლო ხანს კვლავ მომრავლდნენ კერძო მრეწავები, სპეკულანტები, ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ.

მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა სეზონური საქმე არ არის. ამ პრინციპს ახორციელებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა შარშან სპეციალური დადგენილება მიიღო მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთთვიურის მოწყობის შესახებ. ეს სასარგებლო ღონისძიება სიღნაღის რაიონის მთელ რიგ სოფლებში არათუ არ გამოიყენეს, არამედ ფორმალური სახე მისცეს მას და ფაქტიურად ჩაშალეს.

ყოველივე ეს ნათელი გახდა, როცა ამ ერთი თვის წინათ სიღნაღისა და ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომების საქმიანობა მუქთახორობის წინააღმდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა და გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ ცნო.

23.690 შრომისუნარიანი მოსახლიდან სიღნაღის რაიონში შარშან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში არ იყო ჩაბმული 2.425 კაცი, ანუ 11 პროცენტი.

ამ მდგომარეობამ არათუ ჩააფიქრა, არამედ შეაშფოთა კიდეც რაიონის მთელი პარტიული და სამეურნეო აქტივი, უპირველესად რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატები.

მუქთახორობისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხის განხილვაში, რომელიც სიღნაღის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის მსჯელობის საგანი გახდა, ყველა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა, გაწეული მუშაობის ანალიზთან ერთად, დაზუსტდა უმუშევართა სიები, მათი დასაქმების გზები და საშუალებანი.

მომხსენებელმა, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გოგინაშვილმა თქვა: დღევანდელი სესიის მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ახსნას ის მიზეზები, რომლებიც იწვევს დანაშაულობებსა და მუქთახორობას, ახალი ძალით გაჩაღოს უკომპრომისო ბრძოლა მუქთახორობის, ჩამორჩენის და დანაშაულობათა წინააღმდეგ.

სესიაზე ხაზგასმით ითქვა, რომ გაწეული მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ წლეულს გამოვლენილი ათობით გამოუსწორებელი მუქთახორიდან ჯერ კიდევ არც ერთი არ არის დასაქმებული და არც პასუხისგებაშია მიცემული.

— დასჯა თვითმიზანი არ არის, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენ უნდა გვეყოს ძალა და უნარი აღვზარდოთ, გამოვასწოროთ უქნარა ადამიანები, ჩავაბათ ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, მაგრამ, როცა მას ჩვენი არ ესმის და არც სურს გაიგოს, აბუჩად იგდებს საზოგადოებრიობას, ამასთანავე პირადი საქციელით სხვასაც რყვნის, თავისი სიტყვა უნდა თქვას მართლმსაჯულებამ.

დეპუტატებმა სესიაზე გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მუქთახორობის ტენდენცია მასშტაბურად ვლინდება ახალგაზრდობაში. უმუშევართა შორის 60 პროცენტზე მეტი 20-30 წლამდე ასაკისაა, მათ შორის 45 კომკავშირელია.

სწორად ითქვა, რომ აღზრდის მთავარი საწყისი მაინც ოჯახია. ოჯახი ყველა სიკეთის ბურჯი და წყაროა, კანონმდებელი და მაგალითის მიმცემია.

სამწუხაროდ, ცოტა როდია ჩვენთან ისეთი ოჯახი, რომელიც თავისი საქციელით, ნებსით თუ უნებლიეთ წამლავს მოზარდის ფსიქიკას, ანებივრებს მას, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამით შვილს ართმევს ყველაზე მთავარს — შრომის, ცხოვრებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარს.

შარშან სახელმწიფო ავტოინსპექციამ გამოავლინა ექვსი შემთხვევა, როცა მამების კუთვნილ ავტომანქანათა საჭეებს არასრულწლოვანი შვილები მართავდნენ. აი ისინი — საქობოს საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. ჩითინაშვილი, ძველი ანაგის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ბეგიაშვილი, სიღნაღელი რ. ღლიღვაშვილი.

საზოგადოებრივ შრომაში ზოგჯერ ხელმძღვანელი ამხანაგების, დეპუტატების, კომუნისტების ოჯახების წევრებიც კი არ არიან ჩაბმული. ასეთთა შორის დასახელებული იყო სოფლების — ტიბაანისა და ბოდბისხევის კოლმეურნეობების ბრიგადირები პაპალაშვილი და კუსრაშვილი, ვაქირის სასოფლო საბჭოს დეპუტატები ქოქიაშვილი, იასეშვილი და სხვები.

— სკოლა მომავალი თაობის აღზრდის ძირითადი კერაა, — თქვა თავის გამოსვლაში განათლების განყოფილების გამგემ ე. დალაქიშვილმა. — სკოლებში უსაქმურობისა და დანაშაულის წყაროა გაკვეთილებზე დაგვიანება, გაცდენები, რომელთა აღმოსაფხვრელად კლასის ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივები თანამიმდევრულად ვერ იბრძვიან, არ იყენებენ აღმზრდელობით ხერხებსა და მეთოდებს; სათანადო კონტაქტს ვერ ამყარებენ სასოფლო საბჭოებთან, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან. მარტო შარშან უმიზეზოდ გაცდენილია 14.355 გაკვეთილი.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ე. ბარამაშვილმა, ე. მარკუშინამ, ნ. ლოლაშვილმა თქვეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებითია შრომითი კოლექტივის როლი და პასუხისმგებლობა. 1970-1976 წლებში ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონების დატაცების ხუთი შემთხვევა იყო, ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში კი — არც ერთი.

სესიაზე გამოვიდა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ჯ. ბურდული. სასიკეთო ძვრებთან ერთად მან თვითკრიტიკულად აღნიშნა, რომ დანაშაულობათა გარკვეული ნაწილი, მათ შორის მკვლელობა ქ. სიღნაღში, ნუკრიანში, ჯუგაანში, ჯერ კიდევ გაუხსნელია. მუქთახორობისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრულად ვერ იბრძვიან უბნის ინსპექტორები, ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი. სამარცხვინოა ისიც, რომ განყოფილებას დღემდე არც ერთი პარაზიტის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არა აქვს აღძრული.

განხილული საკითხის გარშემო თავიანთი შენიშვნები გამოთქვეს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ფ. ნატროშვილმა, საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ც. მაჭარაშვილმა, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩუკურმა.

სესიამ შემდგომში ასეთი ერთობლივი, კომპლექსური მუშაობისათვის შეიმუშავა და დაამტკიცა პერსპექტიული გეგმა.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის" ინტერვიუ

მკითხველს — ქართული წიგნი

„საბჭოთა საქართველოს" საგამომცემლო გეგმები

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორს მწერალ გურამ ფანჯიკიძეს. რა წიგნების გამოცემას აპირებს „საბჭოთა საქართველო" წელს და როგორია მისი უახლოესი ორი წლის გეგმები? — ეს იყო საუბრის თემა, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ „კომუნისტის" მკითხველს.

— ძალზე ძნელია თუნდაც ვრცელ საგაზეთო წერილში ილაპარაკო ჩვენი გამომცემლობის გეგმებზე. მარტო წელს 415 დასახელების გეგმით გათვალისწინებული წიგნი და ბროშურა უნდა მივაწოდოთ მკითხველს. ამას თუ დავუმატებთ შეკვეთილ და დადგენილებით გამოსაცემ წიგნებს, პლაკატებს, მრავალნაირ ლიტერატურას, გზამკვლევებსა და ბუკლეტებს, დამრწმუნდებით, მხოლოდ უმცირეს ნაწილზე თუ შეიძლება შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ამიტომ შევეცდებით მხოლოდ უმნიშვნელოვანეს წიგნებზე ვისაუბროთ და გამომცემლობის ზოგიერთი, ჩვენის აზრით, ყურადსაღები ჩანაფიქრი გაგაცნოთ.

რთული და მრავალფეროვანია ისტორიულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურის რედაქციის თემატიკა. იგი მოიცავს ცალკეულ განყოფილებებს, რუბრიკებს, სერიებს, რომელთა მიზანია დროულად გამოვეხმაუროთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. პროპაგანდა გავუწიოთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, მკითხველთა ფართო წრეებს მივაწოდოთ მაღალიდეური, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ლიტერატურა, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ქართველმა მკითხველმა ცალკეულ გამოცემებთან ერთად მიიღო ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" ერთ წიგნად. ამჟამად წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან ერთად ვამზადებთ ამ წიგნების მინიატიურულ სასაჩუქრო გამოცემას.

საინტერესო გამოცემებია „საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის", „საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი", „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მოღვაწეობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის". ამ უკანასკნელმა გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დაწვრილებით მინდა შევეხო განყოფილებას — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში". აქ წარმოდგენილი ბროშურები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის გაშუქებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლისა და 1976 წლის ივნისის დადგენილებათა შესასრულებლად. აღნიშნულ განყოფილებაში შედის 14 სერია: „შრომითი დიდების ადამიანები", „ჩვენ მეგობრობით ვართ ძლიერნი", „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა", „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი", „იდეოლოგიური მუშაკის ბიბლიოთეკა" და სხვ.

მკითხველმა უკვე მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების ლ. თოიძისა და შ. თევზაძის შრომები „საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა კონტროლის ლენინური პრინციპების განხორციელებისათვის" და „საქართველოს კომპარტიის ბრძოლა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის".

ამ რედაქციაში თავმოყრილი აგრეთვე იურიდიული ლიტერატურა, სადაც, კოდექსებისა და ნორმატიული აქტების გარდა, გამოდის სპეციალური ლიტერატურა და სერია „საზოგადოება და კანონი". რედაქციის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების ფუძემდებლური დებულებათა პროპაგანდა.

გარდა ზემოდასახელებული ლიტერატურისა, გამოვცემთ პლაკატებს ისეთი ნეგატიური მოვლენებისა და მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, როგორიც არის მუქთახორობა, მექრთამეობა, გამომძალველობა, ბიუროკრატიზმი, სპეკულაცია, პროტექციონიზმი, დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა და სხვ.

რედაქციას მომავალში დიდი გეგმები აქვს დასახული, რომელთა ცენტრშია რამდენიმე საიუბილეო თარიღი (ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, სკკპ XXVI ყრილობა, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი). უკვე შევადგინეთ ამ თარიღებისადმი მიძღვნილი თემატიკა, გამოვძებნეთ ავტორები და, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებს ხელდამშვენებულნი შევხვდებით.

თემატური გეგმის თანახმად მიმდინარე წელს სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციამ უნდა გამოსცეს 39 დასახელების წიგნი. რედაქციის მიერ გამოსაცემი წიგნების თემატიკა მრავალფეროვანია, რომლებიც აშუქებენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მეცნიერული ათეიზმის, ისტორიის, ეკონომიკის ცალკეულ საკითხებს. შექმნილია სერიები: თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა", „უკომპრომისო ბრძოლა — ნეგატიურ მოვლენებს", „შეჯიბრება, ეფექტიანობა, ხარისხი", „საქართველო მეათე ხუთწლედში" და სხვ.

წლეულს სერიით — „უკომპრომისო ბრძოლა — ნეგატიურ მოვლენებს" — რედაქცია გამოსცემს ორ წიგნს: გ. მარუაშვილის „ვიბრძოლოთ მავნე გადმონაშთებს" და ნ. მგელაძის „არ შეიძლება განზე იდგე".

წარმოებაშია ჩაშვებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მესამე ტომი, ო. ლორთქიფანიძის „ძველი კოლხეთი", უნგრელი მეცნიერის ლაიოშ ტარდის „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან", რ. ბარამიძის „ქართული საისტორიო მწერლობა და მჭევრმეტყველება" და სხვა.

მრავალფეროვანია ქართული და თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის რედაქციების გეგმები.

მკითხველმა უკვე მიიღო „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემა, რომელსაც ერთვის საქართველოს სახალხო მხატვრის ნათელა იანქოშვილის ილუსტრაციები. წლის ბოლომდე გამოვა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის კიდევ ორი პატარა ფორმატის სასაჩუქრო გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე. დაიბეჭდება აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, პოემები და წერილები, კრებული „ძველი ქართული მოთხრობა", რომელიც რ. თვარაძემ შეადგინა, ვაჟა-ფშაველას ორტომეული — შემდგენელი ა. ჭინჭარაული.

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკიდან გამოიცემა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" და დავით გურამიშვილის „დავითიანი" ერთ ტომად.

„ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის" სერიით წლევანდელ გეგმაში გათვალისწინებულია ო. ჭილაძის, ა. სულაკაურის, მ. ფოცხიშვილის, გ. ძნელაძის, ხ. გაგუასა და სხვათა კრებულები. მკითხველი მიიღებს აგრეთვე გ. აბაშიძის ლექსების კრებულს, რ. ჯაფარიძის, ო. ჩხეიძის, ო. იოსელიანის, ს. ჭილაიას, თ. ჭილაძის, რ. ჭეიშვილისა და სხვათა რომანებსა და მოთხრობებს.

პოეზიის მოყვარულები მიიღებენ ლადო ასათიანის ერთტომეულს. ცნობილ ნაწარმოებებთან ერთად ერთტომეულში პირველად დაიბეჭდა ლ. ასათიანის თარგმანები, პირადი წერილები და ჩანაწერები. გამოვა ტ. გრანელის რჩეული, მ. ლებანიძის ლექსებისა და პოემების წიგნი.

წელს დაიბეჭდება ე. მაღრაძის პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილების კრებული სათაურით „გულითა მართლით". კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილებიდან აღსანიშნავია გ. მერკვილაძის, ო. პაჭკორიას, ჯ. თითმერიას, რ. მიშველაძის, ლ. ჯანაშიას, ალ. ბარამიძის, თ. წივწივაძის, რ. სირაძისა და სხვათა წიგნები.

მინდა ზოგიერთ სიახლეებზეც გესაუბროთ.

გადავწყვიტეთ დავიწყოთ სერიული გამოცემა — „ქართული პროზის ბიბლიოთეკა", რომელშიც დაიბეჭდება საუკეთესო ქართული რომანები, მოთხრობები და ნოველები იაკობ ცურტაველის ეპოქიდან დღემდე. პირველ წიგნს წელსვე გამოვცემთ (V-XII საუკუნის ძეგლები). მომავალ წელს გამოვა ბიბლიოთეკის II, III და IV წიგნები (შემდგენლები რ. თვარაძე, გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე).

წელსვე გამოვა ლირიკული ლექსების კრებული „სიყვარულო, ძალსა შენსა". მისი მოცულობა ხუთი თაბახი იქნება. კრებულში შევა ქართული პოეზიის სატრფიალო ლირიკის რჩეული ნიმუშები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიეძღვნება ქართული პოეზიის ანთოლოგია სამ წიგნად (სასაჩუქრო გამოცემა). პირველ წიგნში შევა ხალხური პოეზიის ნიმუშები (შემდგენელი — მ. ლებანიძე), მეორე წიგნში — კლასიკა (შემდგენლები — ს. ცაიშვილი და ე. კვიტაიშვილი), მესამე წიგნში მეოცე საუკუნის ქართული პოეზია (შემდგენლები — ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი და ე. კვიტაიშვილი).

1980 წელს დავიწყებთ ახალ სერიას — „ქართული პოემა", (შემდგენლები ჯ. ღვინჯილია და მ. წიკლაური), მზადდება წიგნი „მე ცა მნიშნავს", რომელშიც შევა ქართველი მწერლების წერილები და გამონათქვამები მწერლობაზე. განზრახული გვაქვს 1981 წელს გამოვცეთ ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია „სიჭაბუკე და ლექსი ერთია".

1982 წლიდან ვაპირებთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მრავალტომეულების, აგრეთვე გ. ტაბიძის მცირეფორმატიანი შვიდტომეულის გამოცემას.

სტამბაში ჩასაშვებად მზად არის ი. ბატონიშვილის „კალმასობის" პირველი წიგნი, დ. კლდიაშვილის თხზულებათა ორტომეული. 1980 წელს გამოვა ი. გრიშაშვილის პირველი ტომი.

საქართველოს გამსახკომის (თავმჯდომარე ე. მაღრაძე) მხარდაჭერითა და დახმარებით გვინდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ან ფინეთში დავბეჭდოთ „ვეფხისტყაოსანი" ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ნაყოფიერად მუშაობს ჩვენი გამომცემლობის ფილიალი ქუთაისში.

ქართველი ერი თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ერია.

ჩვენი ერის ამ დიადი გრძნობის ერთ-ერთი ძალუმი გამოხატულია მსოფლიო ლიტერატურის 80-ტომეულის გამოცემა, რასაც „საბჭოთა საქართველო" ახორციელებს.

წელს ქართულ ენაზე გამოვა მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორიცაა ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეა", ცალკე წიგნებად დაისტამბება ფრანგული დრამები, სტენდალის „წითელი და შავი" და „იტალიური ქრონიკები".

გამოვა ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის სიმბოლოს — საიათნოვას ლექსები, ტაჯიკი მწერლის ს. აინის „ბუხარა", მ. ზოშჩენკოს მოთხრობები, სომეხი მწერლების ნაწარმოებთა კრებული, ა. პლატონოვის მოთხრობები, ი. ტრიფონოვის „სხვა ცხოვრება", ჰ. ჰესეს „მოხილვა დილის ქვეყნისა", ჩ. სნოუს „ჟამი იმედისა", ჯ. სტაინბეკის რომანები „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა" და „ტორტილა ფლეტი", მ. სელიმოვიჩის რომანი „დერვიში და სიკვდილი", „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია", უ. შექსპირის სონეტების სრული კრებული, უნგრელ პოეტთა ლექსების წიგნი, ბალზაკის რომანები „ოცდაათი წლის ქალი" და „ცეზარ ბიროტო", რაბლეს „გარგანტუა"...

მდიდარია სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის რედაქციის 1979 და 1980 წლის გეგმები, რომლის შედგენისას გამომცემლობა ხელმძღვანელობდა სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978 წ.), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX და XII პლენუმების გადაწყვეტილებებით.

არა მარტო ჩვენს საგამომცემლო, არამედ ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა „საქართველოს სსრ წითელი წიგნის" გამოცემა. ამ უნიკალური კოლექტიური ნაშრომის შედგენას თავიანთი დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრამ და სხვა ორგანიზაციებმა.

მხარეთმცოდნეობის სპორტულ-ტურისტული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია თავისი გამოსაცემი წიგნების პროფილით მეტად მრავალფეროვანია. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ტურისტული ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, რომელიც დიდ ეროვნულ და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს ემსახურება.

წლეულს მკითხველი მიიღებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონს, თ. და ი. გვარჯალაძეების „ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს", ხოლო 1980 წელს გამოვა „რუსულ-ქართული ლექსიკონი".

ბევრ საყურადღებო წიგნს გამოსცემს სამრეწველო-ტექნიკური ლიტერატურის რედაქცია. მათ შორის აღსანიშნავია ბ. ილუკოვიჩის, ნ. ბიდინიშვილისა და ვ. ბააკაშვილის წიგნი „ლითონების წნევით დამუშავების თეორიული საფუძვლები", გ. ბერძენიშვილისა და ვ. გელაშვილის წიგნი „ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანების თეორია, ანგარიში და მათი აგზნების საკითხები", კ. პედლერისა და ჯ. ჯეიმსის ნაშრომი „მუტანტი 59", რომელშიც გაშუქებულია თანამედროვე ეკოლოგიისა და ბიოქიმიის საკითხები.

ჩვენი გამომცემლობის მიერ გამოშვებული სამედიცინო ლიტერატურა ძირითადად ორ მიზანს ემსახურება: ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მედიცინის მიღწევებისა და სიახლეების პოპულარიზაციას და ექიმთა ფართო მასებისათვის მათ გაცნობას, აგრეთვე მოსახლეობის სანიტარიულ-კულტურული დონის ამაღლებას.

ექიმებისათვის განკუთვნილია მეცნიერული შრომები, კლინიკური პრაქტიკული ხასიათის მონოგრაფიები, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკით „ექიმის ბიბლიოთეკა", ნაშრომი მედიცინის ისტორიის, ჰიგიენის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საკითხებზე, ცნობარები, ლექსიკონები, ატლასები.

გამომცემლობის ინიციატივით შეიქმნება ცნობარების სერია. უკვე გამოვიდა „უროლოგიის ცნობარი", „ტრანსფუზიოლოგიის ცნობარი", წარმოებაშია და მალე გამოვა „თერაპიული ცნობარი", მზად არის „ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ცნობარი".

1979 წელი ბავშვის წელია. ამიტომ სამედიცინო ლიტერატურის ხაზით დაგეგმილია მთელი რიგი როგორც მეცნიერული შრომების, ისე პოპულარული ბროშურების გამოცემა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნის — კარაბადინის გამოცემამ. მომავალში გათვალისწინებული გვაქვს გამოვცეთ სამედიცინო ძეგლების მთელი სერია, რომელშიც შევა: ქანანელის „უსწორო კარაბადინი", ხოჯა-ყოფილის „წიგნი სააქიმოი", დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი" და ა. შ.

„საბჭოთა საქართველომ" პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გამოკვეთილად უნდა ვთქვათ, რომ ყოველთვის ვგრძნობთ გამსახკომის დიდ მხარდაჭერას და ხელშეწყობას. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო წიგნის ფაბრიკისა და მეოთხე სტამბის დირექციებს, სპეციალისტებს და მუშებს, რომლებიც დიდ მზრუნველობას იჩენენ ქართული წიგნისათვის. დიდ დახმარებას გვიწევენ აგრეთვე ცხინვალისა და ქუთაისის სტამბები. მათივე დახმარებით შევეცდებით, ვიზრუნოთ წიგნის პოლიგრაფიული ხარისხის გაუმჯობესებაზეც.

ვფიქრობთ, ერთობლივი ძალებით გადავჭრით ქართული წიგნის გამოცემის საქმეში არსებულ რთულ პრობლემებს.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

მაღალი შეფასება

ვაშინგტონი, 11 მაისი. (საკდესი). აქ ამერიკის შეერთებული შტატების სსრ კავშირის საელჩოში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის სახელით ამერიკელი საზოგადო მოღვაწის ა. ჰამერისათვის მისი სკულპტურული პორტრეტის გადაცემის ცერემონია. პორტრეტი შესრულა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. ვ. ტომსკიმ.

წაიკითხეს ლეონიდ ილიას ძის თანდართული წერილი, იგი ა. ჰამერს გულითადად მიესალმება და წარმატებებს უსურვებს იმ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

„საბჭოთა ხალხი, — ნათქვამია წერილში, — დიდად აფასებს თქვენს ენერგიასა და მრავალფეროვან ინიციატივებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კარგი ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის".

ა. ჰამერმა მიიღო საჩუქარი და მხურვალე მადლობა უძღვნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. „მახსოვს შეხვედრა ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან, — თქვა მან რუსულ ენაზე. — ლეონიდ ილიას ძე განაგრძობს ლენინის საქმეს. თუ მსოფლიოს ორი ყველაზე უდიდესი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი და ამერიკა — ითანამშრომლებენ არა მარტო კულტურის, არამედ პოლიტიკისა და ვაჭრობის დარგში, მშვიდობა მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილი იქნება.

მინდა კიდევ ერთხელ სულითა და გულით მადლობა მოვახსენო ლეონიდ ილიას ძეს და მხურვალედ მივესალმო, აგრეთვე განვაცხადო, რომ გვსურს მშვიდობა და მეგობრობა".

თანამშრომლობის გზით

ბელგრადი, 11 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარების პრაქტიკამ უკანასკნელ წლებში გვიჩვენა, რომ ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობასა და თანამშრომლობას კარგი პერსპექტივები აქვს. საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შენდება და რეკონსტრუირდება ენერგეტიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობმომპოვებელი და ინდუსტრიის სხვა დარგების ასზე მეტი საწარმო და ობიექტი. აქედან ნახევარზე მეტი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ. მათ შორის დუნაიზე ჰიდროენერგეტიკული სანაოსნო სისტემა „ჯერდაპ-1", თიხამიწის ქარხანა „ბირაჩი", რომლის სიმძლავრე წელიწადში 600 ათასი ტონა პროდუქციაა, ქალაქ ლუკავაცის კოქსქიმიური ქარხანა, რომელიც წელიწადში ორ მილიონ ტონა კოქსს აწარმოებს, ზენიცისა და სმედეროვოს მეტალურგიული კომბინატები.

თავის მხრივ იუგოსლავიის საწარმოები მანქანებსა და მოწყობილობას ამზადებენ სსრ კავშირის მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის. იუგოსლავიის ადრიატიკის, სავისა და დუნაის გემთსაშენებში აგებული სატვირთო და სამგზავრო გემები ამატებს საბჭოთა საზღვაო და სამდინარო ფლოტებს. ზაგრების ნიკოლა ტესლის სახელობის ქარხნის საქალაქთაშორისო ავტომატური ტელეფონო სადგურები დადგმულია ლენინგრადში, ვოლგოგრადში, დონეცკში.

ბელგრადელი და ზაგრებელი მშენებლები მონაწილეობენ საბჭოთა მუშებთან ერთად მოსკოვის, იალტისა და სოჭის დიდი სასტუმროების მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის მიერ ფართო მოხმარების საქონლის მანქანებისა და სამრეწველო მოწყობილობის შესყიდვა იუგოსლავიის ექსპორტის თითქმის 50 პროცენტს შეადგენს.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

12 მაისი

ჰელსინკი. ფინეთის პარლამენტის შენობის წინ მასობრივი მიტინგით დამთავრდა უმუშევართა მარში. იგი ხუთი დღის წინათ დაიწყო ერთდროულად ტურკუში, ტამპერეში, კოტკასა და იმატრაში.

მარშის ყველა ეტაპზე ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში გაიმართა მიტინგები. ჰელსინკში დემონსტრანტებს შეუერთდა დედაქალაქის ათასობით უმუშევარი.

ამჟამად ფინეთის უმუშევართა არმიაში 170 ათასზე მეტი კაცია, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის 7,8 პროცენტი.

ლონდონი. 10,1 პროცენტს მიაღწია წინა თვეში ინფლაციამ ბრიტანეთის კუნძულებზე. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ეს ფასების ზრდის ყველაზე მაღალი დონეა 1977 წლის დეკემბრიდან.

ადგილობრივ ეკონომისტთა აზრით, ქვეყანაში ინფლაცია კვლავ გაიზრდება და მიმდინარე წლის დამლევისათვის შეიძლება 15 პროცენტს მიაღწიოს.

სან-ხოსე. რეაქციის სისხლიანი ტერორის მსხვერპლთა დაკრძალვა სან-სალვადორში მოწმობს, რომ სალვადორელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისა და ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის. დაკრძალვაში მონაწილეობდა 25 ათასზე მეტი კაცი. გლეხები, მუშები, მოსწავლეები გაიძახოდნენ: „ძირს ტირანია!", „არ დავივიწყებთ ხალხის დაღვრილ სისხლს!", „სოციალიზმის იდეებს ვერ ჩაახშობთ!".

8 მაისს დიქტატორ უმბერტო რომეროს ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს სან-სალვადორში დემონსტრანტები, რომლებიც მოითხოვდნენ თვითნებობის შეწყვეტასა და დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. 40 კაცი დახოცეს, ათობით დაჭრეს.

ტოკიო. იაპონიის ქალაქ საპოროს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც სამ ფარმაცევტულ კომპანიას ავალებს 1,5 მილიარდ იენზე მეტი გადაუხადოს იმ პირთ, რომლებიც დაავადდნენ მედიკამენტებით სარგებლობის შედეგად. ისინი ჯანმრთელობისათვის მავნე თანმდევ ეფექტებს იწვევდნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ფირმების წამლები იწვევდა ნერვული სისტემის მოშლას. 1973 წლის ნოემბრიდან ჰოკაიდოში ასეთი წამლებით სარგებლობის შედეგად დაავადდა 70-ზე მეტი კაცი. ადრე ანალოგიური შემთხვევები აღმოჩენილია ტოკიოში, კანაძავაში, ფუკუოკასა და ხიროსიმაში. (საკდესი).

პეკინი ვითარებას ამწვავებს

ჰანოი, 11 მაისი. (საკდესი). ჩინელი ჰეგემონისტები განაგრძობენ პროვოკაციულ აქციებს ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში და ამით განზრახ ქმნიან დაძაბულობას ვიეტნამ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხებზე ჰანოიში გამართულ მოლაპარაკებაზე.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, უშუალოდ ვიეტნამის საზღვრის ახლოს პეკინი თავს უყრის თავისი ჯარების დიდ კონტინგენტებს, მათ შორის ტანკებს, არტილერიას, მოტომექანიზებულ ნაწილებს. მიმდინარეობს ძალების გადაჯგუფება, რომლებსაც აიარაღებენ ახლად მოწოდებული სამხედრო ტექნიკით. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩრდილოეთის პროვინციის სხვადასხვა რაიონში ჩინელები არღვევენ საზღვარს, იჭრებიან ვიეტნამის ტერიტორიაზე, ძარცვავენ და სახლებს უწვავენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ უშიშროებისა და სახალხო მოლაშქრეთა ადგილობრივმა ძალებმა ხელთ იგდეს ჩინელ ჯაშუშთა ჯგუფი კუანგნინის პროვინციის ვინთხიკის კუნძულზე გადმოსხმისთანავე. ჯაშუშთა ჯგუფს მეთაურობდა ჩინეთის პროვინციის გუანჯოუს მკვიდრი ვან ძუნმუ. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ხოაკიაოები — ვიეტნამში მცხოვრები ჩინური ეროვნების პირები.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა

ვაშინგტონი, 11 მაისი, (საკდესის კორ). თეთრ სახლში გაიმართა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერსა და პანამის პრეზიდენტს ა. როიოს შორის, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. როგორც შეხვედრის შედეგების შესახებ ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, ორივე პრეზიდენტმა მთავარი ყურადღება დაუთმო იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია 2000 წელს პანამისათვის არხის გადაცემის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და პანამის ხელშეკრულებათა შესრულებასთან.

მოლაპარაკების განმარტებისას ამერიკელი და პანამელი ოფიციალური პირნი არ მალავენ რომ აქ პრეზიდენტ ა. როიოს ჩამოსვლას საგანგებო ხასიათი აქვს იმის გამო, რომ სერიოზული გართულებებია ხელშეკრულების შესრულების გზაზე. ამერიკის რეაქცია ვერანაირად ვერ ურიგდება პანამის არხის დაბრუნების პერსპექტივას, რასაც მრავალი წლის მტკიცე ბრძოლით მიაღწია მისმა კანონიერმა მფლობელმა — პანამელმა ხალხმა.

ოპოზიციის უარი

ტოკიო, 12 მაისი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტმა მუშაობა შეწყვიტა. ოპოზიციამ უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს მთელი რიგი კანონპროექტების განხილვაში მას შემდეგ, რაც მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ უარყო ოპოზიციის მოთხოვნები მოისმინოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნ. კიშისა და ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსის რ. მაცუნოს ჩვენებანი ამერიკის ავიაკომპანიების მიერ მაღალი თანამდებობის მოხელეთა მოსყიდვის საქმის შესახებ.

ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა დაბეჯითებით მოითხოვს ხელისუფალთაგან სასწრაფოდ გამოიძიონ კორუფციის ფაქტები და დასაჯონ დამნაშავენი, რომლებიც მილიონობით დოლარს იღებდნენ ამერიკის „ლოკჰიდის", „გრუმანის", „მაკდონელ დუგლასის" კომპანიებისაგან იაპონიის ბაზარზე მათი პროდუქციის გასაღებისათვის.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის განცხადება

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა დიდად არის აღშფოთებული ისრაელის მხედრიონისა და მისი ლიბანელი დამქაშების ახალი აგრესიული მოქმედებით, რომლის მიზანია ამ ქვეყნის დანაწევრება, მისი მშვიდობიანი მოსახლეობისა და პალესტინელების ბანაკების მცხოვრებთა დათრგუნვა. ისრაელის არმიის რეგულარული ნაწილები ხოცვა-ჟლეტის ბარბაროსულ საშუალებებს იყენებენ და განაგრძობენ ტერორისტულ ოპერაციებს, რომელთა შედეგად იღუპებიან ყოვლად უდანაშაულო მოქალაქენი — ქალები, მოხუცები, ბავშვები.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ისრაელის მმართველი წრეები ამას სჩადიან ისეთ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავს მის ინტერვენციას ლიბანის სამხრეთში. სულაც არ არის შემთხვევითი არც ის, რომ ამ მოქმედების პარალელურად სუვერენული ლიბანის სამხრეთ ნაწილში გამოცხადდა მარიონეტული „სახელმწიფოს" შექმნა, რომელიც მხოლოდ ისრაელის ხიშტებზეა დაყრდნობილი და თელ-ავივის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს გამოხატავს.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ისრაელის ასეთი გააგრესიულება უშუალო შედეგია იმ სეპარატული გარიგებისა, რომელიც ვაშინგტონში დადეს ბეგინმა და სადათმა და ერთხმად უარყვეს მთელი არაბეთის ხალხებმა და მშვიდობისმოყვარე ძალებმა. ეს პირშეკვრა, როგორც ლიბანის ამბები მოწმობენ, მხოლოდ უღვივებს ექსპანსიონისტურ მადას ისრაელ აგრესორებს.

საბჭოთა ადამიანები გულისწყრომით გმობენ ისრაელის მხედრიონის არაადამიანურ მოქმედებას ლიბანელთა და პალესტინელთა წინააღმდეგ და მის შეწყვეტას მოითხოვენ. ისინი მხარს უჭერენ ლიბანელ ხალხს, ლიბანის კანონიერ ხელისუფლებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის საშიში კერის აღმოსაფხვრელად არსებობს ერთადერთი გზა — დიქტატისა და ექსპანსიის პოლიტიკაზე უარის თქმა, ამ რაიონის ყველა ხალხთა იმ უფლების პატივისცემა, რომ დამოუკიდებლად იარსებონ ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ამ რაიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ ისრაელი გაიყვანს თავის ჯარებს მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და უზრუნველყოფილი იქნება პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებები.

კარიკატურისტის თვალით



აღვივებს რა მითს „საბჭოთა საფრთხის" შესახებ, პენტაგონმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ნატოს ქვეყნებმა შეიძინონ წინასწარი შეტყობინებისა და კონტროლის ძვირად ღირებული ავაქსის სისტემა. სისტემა შედგება უახლესი სადაზვერვო ელექტრონული ტექნიკით აღჭურვილი „ბოინგ-707" ტიპის 18 თვითმფრინავისაგან. იგი გადასახადის გადამხდელებს დაახლოებით 4 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ.

(გაზეთებიდან).

ნახატი გაზეთ „უნზერე ცაიტიდან".

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნედლეული, გადამუშავება, წამალი...

●●

ფიქრი ფარმაციაზე

პროვიზორ ს. სალუქვაძის მცირე მოცულობის მონოგრაფიაში „სააფთიაქო საქმის და სამედიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში" მეტად საგულისხმო წინადადებებია წამოყენებული. დასამალი არ არის, აფთიაქში ზოგჯერ არ იშოვება ამა თუ იმ დასახელების წამალი და სააფთიაქო ჭურჭელი. ხშირად ვერ გვიშოვია ხველების საწინააღმდეგო ტუხტის ან დამამშვიდებელი სარაჯიშვილის მიქსტურა, კალციუმის გლუკონატის ფხვნილი, აწ წამლის მოსამზადებლად რომელიმე კომპონენტი. ამ პატარა წერილს წინამდებარე ნაშრომის რეცენზიის პრეტენზია არა აქვს, ასეთი რეცენზია უფრო სპეციალისტების საქმეა. ჩვენ კი ყურადღებას ვამახვილებთ ავტორის გაბედულ კრიტიკასა და იქვე მითითებულ რეკომენდაციაზე. 1921 წელს საქართველოში 145 აფთიაქი ყოფილა, ამჟამად კი 615-ია. საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც გაკეთდება.

წიგნის მე-6-მე-7 გვერდზე თვალში გეცემა ცხრილები, რომლებიც ასახავს მოსახლეობისათვის გაცემული მზა წამლის ფორმების სტატისტიკას პროცენტობით, რომლის მიხედვით 1974 წელს საქართველო მე-14 ადგილზე იყო, ხოლო თურქმენეთი მე-15-ზე. იმავე სტატისტიკის მიხედვით 1976 წელში თურქმენეთს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებია თავისი „სატურნირო" მდგომარეობა და მე-11 ადგილზე გადაუნაცვლებია, ხოლო ჩვენ ისევ „საშიშ ზონაში" ვიმყოფებით, კვლავ მე-14 ადგილს ვიკავებთ, აქვეა ჩვენი მოძმე სომხეთიც. სასურველია, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები, რის შემდეგაც ჩვენი რესპუბლიკა მხარს გაუსწორებს ესტონეთის, ბელორუსიის, რუსეთის სფს რესპუბლიკებს. ეს დიდი სოციალური მნიშვნელობის საქმეა.

გულისტკივილით უნდა ითქვას ჩვენს რესპუბლიკაში ფარმაცევტული მრეწველობის ჩამორჩენილობაზე, სააფთიაქო ქსელის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობაზე, მაღალკვალიფიციური ტექნიკური კადრების სიმცირესა თუ პედიატრიულ-ფარმაცევტული მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე... აშკარაა, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მცენარეული, მინერალური და ცხოველური ნედლეული უფრო მიზანდასახულ გამოყენებას საჭიროებს.

დღეს, როცა ქართველი ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის, როცა შარშან მევენახეებმა და მეჩაიეებმა მოიწიეს არნახული მოსავალი, მწყობრში ჩადგა ენგურჰესის პირველი სამი აგრეგატი და არაერთი შრომითი მამაცობის დამადასტურებელ ფაქტებთან გვაქვს საქმე, ამ დროს ადგილობრივი ფარმაცევტული მრეწველობა ეფექტიანად უნდა ეხმარებოდეს ცენტრალურ მომწოდებელ ორგანოებს სააფთიაქო დეფექტურის შევსებაში. ბევრ სხვა რეკომენდაციასთან ერთად საგულისხმოა პროვიზორ ს. სალუქვაძის წინადადება, რომ გაერთიანება „საქმედმრეწვის" ადმინისტრაციული სასაწყობო, სასწავლო კომპლექსი და სტუდქალაქის მშენებლობა დაიწყოს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის მეზობლად. ქვემო ქართლის ნოყიერი შავმიწა ნიადაგი საშუალებას იძლევა დავიწყოთ სამკურნალწამლო მცენარეების მოშენება ამ ზონაში.

რ. ინანიშვილი,
შ. ნიჟნიანიძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატები.

„კომუნისტის" კომენტარი

ამ დღეებში, ფილიპინების დედაქალაქი მანილა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ფორუმის მასპინძელია; 7 მაისს ამ საერთაშორისო კონფერენციების ცენტრის შენობაში მუშაობას შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუნქტადი) მეხუთე სესია. თავისი მუშაობის პირველივე დღეებიდან სესია დამსახურებულად მოექცა საერთაშორისო წრეების ყურადღების ცენტრში. საქმე ის არის, რომ მის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებაში, რომელსაც წლების განმავლობაში ეწევა „მესამე სამყარო" განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ სამართლიანი, თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური ურთიერთობისათვის. მიმდინარე სესიის მნიშვნელობას ის ფაქტიც ზრდის, რომ გაისისათვის დაგეგმილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელიც მთლიანად ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებს მიეძღვნება.

განვითარებად და განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობის თავისებური „აქილევსის ქუსლია" ნედლეულის ვაჭრობის პრობლემა. ნაირობში გამართულ წინა, მეოთხე სესიაზე დაისახა ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომელმაც, საბოლოო ანგარიშით, ნედლეულის ვაჭრობის სტაბილიზაცია უნდა უზრუნველყოს.

ბრძოლა გრძელდება

მიმდინარე წლის თებერვალში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისა და დაგეგმარების მინისტრებმა სპეციალური თათბირი გამართეს ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში, რომელზეც, პრესის მონაცემების თანახმად, გამოიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია. ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ მანილის სესიაზე განვითარებადი ქვეყნები ერთიანი ფრონტით გამოვლენ წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური ჰეგემონიზმის წინააღმდეგ.

უკანასკნელთა მიმართ პრეტენზიები კი ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება. „მესამე სამყაროს" მიერ წარდგენილ საბრალდებო აქტში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სიმდიდრის არათანაბარ განაწილებას. კრიტიკის ობიექტია უკვე არა თვითონ უთანასწორობა, არამედ საერთაშორისო სისტემა და მისი მექანიზმი, ვინაიდან იგი დისკრიმინაციის საფუძველზე მოქმედებს და განვითარებადი ქვეყნების მოდერნიზაციას უშლის ხელს. ამიტომ მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობის მხოლოდ ძირეულ ცვლილებებს შეუძლია სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფა.

ამ დღეებში „მესამე სამყაროს" პრესას უამრავი მაგალითი მოჰყავს არასამართლიანი ეკონომიკური ურთიერთობის საილუსტრაციოდ; ძალზე არათანაბრად არის განაწილებული, მაგალითად, საერთაშორისო ფინანსური რეზერვები. 1970-1974 წლებში განვითარებადმა ქვეყნებმა, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს, საერთაშორისო რეზერვების ოთხ პროცენტზე ნაკლები მიიღეს (საერთაშორისო რეზერვებმა ამ წლებში 131 მილიარდი დოლარი შეადგინა). სწორედ ამ რეზერვების საშუალებით უწევენ მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნები კონტროლს წარმოებასაც და განაწილებასაც ან საკუთარი ვალუტის მაქინაციების (დოლარებითა და გირვანქებით), ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის საშუალებით.

იუნქტადის მორიგი, მანილის სესია უპირველეს ყოვლისა იმის მაუწყებელია, რომ დეკოლონიზაციის (ამჯერად უკვე ეკონომიკური) ერა გრძელდება.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

კომუნისტი: საკვირაო საკითხავი

ცაშია ლ-410

▲ **ხომალდის** მეთაურმა ა. მურეჩენკომ ცაში აიყვანა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში დამზადებული ახალი თვითმფრინავი ლ-410. თბილისიდან თვითმფრინავმა კურსი აიღო ლაგოდეხისაკენ.

ახალმა ტურბორახნიანმა მანქანამ შეცვალა ან-2 თვითმფრინავი. იგი შეესაბამება ყველა მოთხოვნას, რომლებსაც დღეს ადგილობრივ საჰაერო ხაზებზე მფრინავ თვითმფრინავებს უყენებენ. კომფორტულ სალონში ეტევა 15-17 მგზავრი, თვითმფრინავის სიჩქარე 350-400 კილომეტრია საათში, ფრენის სიშორე — 500 კილომეტრი.

ლ-410 თვითმფრინავი რეისებს ასრულებს აგრეთვე თბილის-სოხუმის, თბილის-ბათუმისა და სხვა ტრასებზე.

ყოველ წელიწადს ახალი კორექტივები შეაქვთ აეროპორტის სამსახურში. არც წლევანდელი წელი იქნება გამონაკლისი. დაუჯდომლად ფრენა დაიწყება მარშრუტით თბილის-ნოვოსიბირსკი, გახშირდება რეისები მოსკოვსა და ლენინგრადში. თბილისსა და ქუთაისს შორის დღეში მოეწყობა 18 რეისი, ბათუმსა და სოხუმში — ხუთ-ხუთი რეისი. (საქინფორმი).

პოეზია—ცხოვრების თანამგზავრი

ოთარ ჭილაძე

ბალადა ქაი მოყმისა

ზღვას გადარჩენილი
ცვარმა დაახრჩოო.
ხალხური.

არ ღრენდა გააფთრებული,
არ ღრიალებდა, არ ჭექდა,
ძუ ჯიქი ჩასაფრებული
ღოჯებს უჩუმრად აღრჭენდა
და ჰა, ჩაესმა ფეხის ხმა,
მოყმისკენ გზაზე გადახტა.
მაგრამ, ვაჰ, ვეღარ ეღირსა
სამაგიეროს გადახდა.
ვინც შარშან კი არ ილაჩრა,
კი არ გაექცა დამჭრელი;
კვლავ იმ ჯეელმა იმარჯვა,
კვლავ მან დაჯაბნა ტანჭრელი.
და, აჰა, ისევ შაიბნენ,
სიკვდილთან ორთავ ცხარია
ჯიქს ხო აყარა შავი დღე,
არც მოყმეს ვაუხარია.
სისხლდაწრეტილი ნადირი
ბოლოს მოახრჩო, მოგუდა,
ვინც მას მოუსრა ნახირი,
ბევრიც დაფლითა ქორბუდა;
შორით ესმოდა ძახილი
უწყალო ჯიქის მოკლულთა.
დადუმდა მოყმე დაღლილი,
ტკივილმა ოთხად მოკუნტა.
ჩქამი უხმობდა წყაროსი
დაგაზულს ბასრი ბრჭყალებით,
გაიძრო ტანისამოსი,
იხურა ცივი ჭავლები.
სისხლი რომ ჩამოირეცხა,
ტანთ მთვარის შუქი მოისხა,
შემურდებოდა ირემსაც
მშვენიერება მოყმისა.
ნათეთქვი, ჯიქთან ჭიდილით,
გზისპირას გაწვა ყმაწვილი,
მისგან მოკლულის ჩრდილივით
წამოეპარა ღრმა ძილი.
როცა გაირკვა რიჟრაჟი,
წამს შეიცხადეს მგზავრებმა,
შედგნენ მძინარეს წინაშე,
უცხო ეგონათ ზმანება.
ნახეს ჩაცმული სალაშქროდ,
პირაღმა იწვა მოკლულთან,
ვინც ჯიქი ხელით დაახრჩო,
ვინც ჯიქი ჯიქურ მოგუდა.
და დღისით-მზისით, გზისპირას
ეძინა ბრძოლით დაქანცულს,
დღესავით ნათელ ფიქრიანს,
ლამაზი მხეცის დაკაწრულს.
იცდიდნენ გზაზე შემდგარნი,
დაოსდნენ დიდხანს ლოდინით,
ვერ გააღვიძეს ცხედარი —
ცივი, საფლავის ლოდივით.
ელდამ რო გადაიარა,
შეექმნათ დავა, ცილობა
არც ღრმა ატყვია იარა...
— არც სასიკვდილო ჭრილობა...
საღათას ძილიც ახსენეს.
— რა შუაშია საღათა!
თქვა და მავანმა თასმები
გაუხსნა, ფეხზე გახადა.
სათქმელი უცებ მოლიეს,
როცა გააძრეს პაჭიჭი,
შიგ იჯდა ჯიქის მომრევის
მომრევი — ხოჭო მახინჯი...
შიშით გზა გაიშორიეს,
უკან გადადგეს ნაბიჯი:
— ვაი, მოუკლავს მორიელს
ბიჭი და მერე რა ბიჭი!..

ჯანსუღ ჩარკვიანი

განძი სულისა

შარშან, ზემო ალვანში ზეიმი იყო, პოეტ არჩილ სულაკაურს კალამს უქებდნენ თუშები, ჩვენც ვერიეთ მაყრიონში და ცეცხლს ვუნთებდით თუშების ნათქვამს.

ერთი ახალგაზრდა თუშის ქალი ნაზი ხაპრიძე გავიცანი, მშვენიერი მოლექსე და კაფიების ოსტატი. მაშინ ჟურნალ „ცისკარში“ ვმუშაობდი, რედაქციაში მოვიპატიჟე. ამაოდ ველოდი დღემდე.

აგერ, სამაისოდ, გაუბედავს და ბარათი მოუწერია. მინდა გაგაცნოთ. იქნებ ამ ბარათშიც გამოჩნდეს განძი სულისა, რომელიც, როგორც ლეჩხუმში ამბობენ, მითაუკუნიდან ანუ იმთავითვე ბუდობდა ჩვენი ეროვნული ენერგიის წიაღში.

მოვუსმინოთ ნაზი ხაპრიძეს:

„ალბათ გაიხსენებთ ამ ბარათის ავტორს, იმ კაფიების ავტორს, რომელმაც ა. სულაკაურის საიუბილეო საღამოზე შაირებით „შეგაწუხათ“.

ჩემს ოჯახში იციან კაფიას მნიშვნელობა, პოეზიის მადლი და არ მიჯავრდებიან. ამიტომაც ვბედავ თქვენთან გასაუბრებას. ექვს ბავშვს ვზრდი. მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ ხალისიანი, თუმცა გაგანდობთ, ლექსი ბევრს მშველის ამ საქმეშიც. ხანდახან დავიღლები, ვიფიქრებ, ნებისყოფა აღარ მეყოფა-მეთქი, მაგრამ იმავ წუთს თავს შემოვუტევ და „ჩავიღიღინებ“... შესაძლოა ჩემი ღიღინი არც იყოს მკითხველამდე მისატანი, მაგრამ ჩემს გუნებაზე მყოფს კი მალამოსავით უხდებოდეს.

კაფიას გარდა მინდოდა სხვა ლექსებითაც გაგსაუბრებოდით. წაგართმევთ პატარა დროს და წაგაკითხებთ ჩემს „ნაცოდვილარს.“ მე ხომ უსათუოდ დაბეჭდვა არ მაქვს მიზნად, თქვენი აზრი მინდოდა მცოდნოდა“.

ძვირფასო მკითხველო: ჩემი აზრი ასეთია: ამ ლექსებმა და გაფიებმა უნდა ნახონ მზის სინათლე.

ნაზი ხაპრიძე

ჩემი სიმღერა

გაზაფხულობით ზვავის
ქვეშ
რომ გაიღიმებს ყვავილი,
დავიჭერ იმის ღიმილს და
იმის ღიმილით გავივლი.

განთიადისას შავ კლდესთან
შურთხი რომ გაიხმიანებს,
მე იმ სიმღერის ძალა ვარ,
იმ სტვენით ვკურნავ
იარებს.
ძარღვში ჩოჩქოლობს
ქართული
სისხლი იმ მამა-პაპათა,
ვინც კავკასიის მწვერვალზე
ციხე-კოშკები აღმართა.

დნება და იწვის ოცნება,
ვით ახაეტის ზვავები,
ვით კავკასიის მწვერვალთა
მზეზე ნალესი თავები.

სანამ ცოცხალ ვარ, რა
დალევს
კიჟინით ნათქვამ სიმღერას,
იქუხებს ლექსი, რამდენიც
თუშეთს მზე ამოიღერა.

დაე, იცოდეს სამშობლომ,
დაე, იცოდნენ გამზრდელთა,
რომ დავაღამებ სიმღერით
რადგან სიმღერით გათენდა.

✦ ✦

გამაამაყეთ შენა და
ქართულმა კორდმა, მზემ,
გამაძლებინეთ ჭირში,
ადვილ ვლახავდი გზებს,
ეს რა ყოფილა მამული,
ან რა ყოფილხარ შენ!

✦ ✦

ღრუბელნი დაფარფაშებენ,
როგორც შარბათით
მთვრალები,
[illegible]
— ვეყოფა,
დაბლა დახარე თვალები,
[illegible]
ნატრულნი,
შურით შემხედვენ ქალები.

✦ ✦

შენაცამ ჩამოსდნებოდე,
თოვლო, რჩომილო გორაზე,
შენაცამ გამოშჩნდებოდე —
დღეს თუ არ, დღეის
სწორაზე.

დავიჯერო, არ გინდივარ,
მაშამ რად თვალში მესვები,
როგორც შენ
გამიდიდგულდი,
გამიდიდგულდნენ
ლექსებიც.

ფიცი

არც როს არ გაგთქვამ,
ბიჭაუ,
ერთურთს ვიცნობდით
ძველადა,
ვერვინ გაიგებს, შენს
სახელს
სიზმრად ვიძახდი ხელადა.
არ შეგეყრები ბილიკზე,
არც აგჭკვავდები ქალია,
არ ამოვარდეს ეს გული,
არ გავცე ჩემივ თავია.

✦ ✦

გარეთ თუშურა წვიმა წვიმს,
ჩვენაც გავიღებთ გზასაო,
რად მეჩვენება აქა ხარ,
ლექსებსაც შაწვდი ქალსაო.

მეზმანა: მიახლოვდები,
ყურს ვუგდებ ფეხის ხმასაო,
ჩემი არჩივი იყავი,
მაშამ რად ერგე სხვასაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები
სატელევიზიო
ეკრანთან

სიახლის გზით

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი ყოველი კუთხე-კუნჭულის გამომზეურების, განხილვა-განსჯისა და შეფასების მძლავრი იქცა საქართველოს ტელევიზია, რომელსაც დიდ-პატარა ყოველდღიურად იმედის თვალით შეჰყურებს. ვისაც ქედი ღონიერი აქვს და წელიც მოსდგამს, იმისაგან მეტს, ხან კი შეუძლებელსაც მოითხოვენ. მაყურებლები სწორედ ასევე ეკიდებიან ჩვენს ტელევიზიას. ქართულ ტელევიზიას დროით შემოწმებული შემოქმედებითი წარმატებებით ბევრი ღირსეული და საამაყო გამარჯვება მოუპოვებია, გაუხარებია მილიონობით მაყურებლის გული. საქართველოს ტელევიზია ბევრი სირთულის წინაშე მდგარა, ჰქონია ჩავარდნებიც, ყოფილა ნაკლებ კომპეტენტურიც, რაც საჭიროდ ითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან, მაგრამ ძალა მუდამ თან სდევდა ნაკლის გამოსწორებისა, წელში გამართვისა, მაყურებლის იმედის გამართლებისა. და მაინც ქართველი ხალხი ყოველთვის უფრო მეტს მოელის მისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ავტორიტეტის შესახებ ლაპარაკიც აღარ გვექნებოდა.

საქართველოს ტელევიზიამ ერთ-ერთმა პირველმა ისხა აბჯარი ჩვენს რესპუბლიკაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დასამკვიდრებლად. მანკიერად წარმართულმა ჩვენი ცხოვრების ერთმა პერიოდმა თვითონვე მოგვცა „თესლი მომავალ გადახალისებულ ცხოვრებისათვის“. საჭირო იყო ამ თესლისათვის ნოყიერი ნიადაგის შემზადება, რაშიც ჩვენმა ტელევიზიამ თავისი სახელიანი სიტყვით დიდი საქმე გააკეთა და დაამტკიცა, რომ, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „ცხოვრება არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიცრიკაზედ“. მან ბოლო წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით გვიჩვენა, რომ რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ შეიძლება იყოს, რომ ის უკვე თანდათან იცვლება უკეთესისაკენ, მიდის წინ და მოაქვს ყველაფრის განახლება. ყოველი კაცი, რომელსაც თვალებზე ჩამოფარებული არა აქვს რა, კარგად ამჩნევს ყოველივეს. და თუ არ უნდა შეამჩნიოს, სატელევიზიო ეკრანი ძალისძალად უბიძგებს მას გონიერებისაკენ, თავისი სანიმუშო გადაცემებით არწმუნებს, დიახ, არწმუნებს ჩვენს ზოგ-ზოგ ურწმუნო თომას სინამდვილის საქმიანი სტილის, საქმიანი ატმოსფეროს დამკვიდრებაში, რაც გამორიცხავს ფორმალიზმის ელემენტებსა და მამებლობის ვითარებას.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მხატვრული დონე. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“. იყო დრო, როცა იგი სიუჟეტების უბრალოდ კრიალოსანივით დამარცვლას გვთავაზობდა ყოველგვარი შინაგანი ცეცხლისა და პარტიული პოზიციის გარეშე, რომელშიც ჭარბობდა არაფრისმთქმელი ანგარიშები კრებებისა, კონფერენციებისა, შეხვედრებისა, იუბილეებისა და ა. შ., წვრილმანთემიანობა, რაც იწვევდა გაუგებრობას, უკმაყოფილებას, ტექსტუალური მასალების მშრალად, უინტერესოდ, ზედაპირულად მომზადებას. დღეს „მოამბე“ თვისებრივად ახალი ტიპის ინფორმაციის ყველაზე ოპერატიული და მიზანმიმართული ფორმაა. ბევრი სიახლეა რუბრიკების შემოტანის მხრივაც: „სადღეისო ინტერვიუ“, „დღეს მსოფლიოში“, „როგორ გვემსახურებიან?“, „სასამართლო დარბაზიდან“, „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“, „იცოდე სამშობლოვ, გეზრდება სასახელო შვილი“, „გახსენება“ და სხვ.

კრიტიკული სიუჟეტები, ისე როგორც ცალკეული გადაცემები, დიდად უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებას, რაზმავს მაყურებლებს გულგრილობის, უმოძრაობის, ინდიფერენტიზმის წინააღმდეგ, ხელს უწყობს საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოძებნას. ამგვარი მასალებით „მოამბე“ გვევლინება არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტისა და აგიტატორის როლში, არამედ კოლექტიური ორგანიზატორის როლშიც, რადგანაც ამგვარი მოღვაწეობით მაყურებელს თვალს უხელს ათასგვარ მანკიერებაზე და მათი გამოსწორების გზებსაც სახავს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში საინფორმაციო პროგრამა „მოამბემ“ კიდევ უფრო მეტი ტრანსფორმაცია განიცადა. გადიდდა ქრონომეტრაჟი, რაც თემატური მრავალფეროვნების, ცნობების იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობის, მათი აქტუალურობის, ოპერატიულობის მანიშნებელი და დასტურია. მეტად საინტერესო და საჭირო „გვერდები“ („დღეს მსოფლიოში“, ინტერვიუ კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკებთან და სხვ.) „მოამბეში“ ცოცხალი ინტერვიუსა და საუბრის ფორმას იღებს. იმდენად დასრულებულია ხანდახან თვითეული სიუჟეტი, რომ თავისუფლად შეიძლება მათი დამოუკიდებელი გადაცემის სახით ეთერში გაშვება. საზოგადოდ, ამ ბოლო ხანებში „მოამბეში“ ძალიან მომეტებულად ვხვდებით იდეურ-მხატვრული ფორმის ექსპერიმენტებს, რაც ისევე აუცილებელია დღევანდელი ტელევიზიისათვის, როგორც მებრძოლი პუბლიცისტიკა „მოამბისათვის“ საერთოდ. ამ მიმართულებით მეტად საჭირო და საშური საქმე კეთდება, რითაც საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელობის მხრივ დიდ დატვირთვას მოითხოვს. მართალია, ზოგიერთი ექსპერიმენტი, ძიება, სახეცვლა ყოველთვის სწორ მიზანს ვერ აღწევს, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა აშინებდეს შემოქმედებითი კოლექტივის მუშაკებს. თამამი ფორმების შემოტანა ყოველთვის გაახალისებს მაყურებლისათვის უკვე ავტორიტეტმოპოვებულ საინფორმაციო პროგრამას. „მოამბის“ მიერ აღებული კურსი, თამამად შეიძლება ითქვას, სწორია და მოკლე ხანში მისგან მეტ წარმატებებს ველით.

„მოამბის“ წამყვანი, სატელევიზიო პერსონაჟი, ჩვენ წინაშე ხშირად გამოდის, როგორც ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ნიშან-თვისებათა მატარებელი, ანუ საკუთარი, ცოცხალი სიტყვით, რაც დამაჯერებლობის უნარს მატებს. ასეთი ცოცხალი სიტყვით, უშუალოდ და აზრიანად გვესაუბრება ხოლმე ბევრი მიმომხილველი, გამომსვლელი, თეატრმცოდნე, მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა რუბრიკით, მოტივით გამოგვყავს რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, რომელთა ერთი ნაწილის საუბრები სტერეოტიპული ხასიათისაა, უინტერესოა. ამგვარი გამოსვლებით კი ჩვენი ტელესტუდია არათუ ავტორიტეტს ვერ უმაღლებს ერთობ საპატიო პირებს, არამედ მეტად ცუდ სამსახურს უწევს მათ.

დღევანდელი ტელევიზიის უთუოდ დიდი მიღწევაა არა ფორმალური, არამედ მჭიდრო, უშუალო კავშირი საზოგადოებრიობასთან, ხალხთან. უკვე თვალნათლივ მოჩანს უკუკავშირის შემოქმედების კეთილი ნაყოფი, ეკრანი გულახდილად, დაუფარავად აუწყებს თავის მაყურებელს წარმატებებსაც, გასაჭირსაც, სიძნელეებსაც. დამყარდა ის ურთიერთობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემისათვის. გაჩნდა გადაცემათა ციკლიც: „როგორია თქვენი აზრი?“, რომელიც 15 აპრილს ვნახეთ და მრავალზე უმრავლესი საკითხი თუ ფაქტი შევიტყვეთ, კერძოდ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში. შემოქმედებითი მუშაკები გვპირდებიან, რომ ხსენებულ ციკლში მონაწილეობას მიაღებინებენ ყველა იმ მაყურებელს, ვისთვისაც ქართული ტელევიზიის ავ-კარგი გულთან ახლოს მისატანია, ვინც აქტიურად ეხმაურება ყოველ პროგრამას, გადაცემას, ციკლს, რუბრიკას. წერილების რაოდენობა, რომელიც ყოველდღიურად ავსებს სატელევიზიო ფოსტას, ბევრად აღემატება წინა წლების შესაბამის პერიოდს. და ეს ხომ უკვე წინსვლის დასტურია, გადაცემათა ეფექტიანობის შედეგია.

რამდენიმე თვეა უკვე არსებობს ტელევიზიასთან ჩამოყალიბებული სოციოლოგიური კვლევისა და სამეცნიერო პროგრამირების მთავარი რედაქცია, რომელმაც უკვე რამდენიმე საინტერესო წამოწყება ითავა, მათ შორის მეტად ყურადსაღები ღონისძიება, რომელსაც მომავალში განზოგადება და შესწავლა უნდა. შემოქმედებითმა კოლექტივმა (რედაქტორებმა, რეჟისორებმა, ოპერატორებმა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებმა) თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ ჩაატარა საქართველოს ტელევიზიის დღეები. ქარხანაში ორი კვირის განმავლობაში მუშაობდა სატელევიზიო მისაღები, სადაც მუშა-მოსამსახურეები ხვდებოდნენ შემოქმედებითს მუშაკებს და თავიანთ გულისტკივილსა თუ სიხარულს უზიარებდნენ ნანახი გადაცემების შესახებ.

„ელმავალმშენებლის“ სატელევიზიო მისაღები თავისებურ შემოქმედებითს ლაბორატორიადაც იქცა იმ გაგებით, რომ იქ ჩაისახა და შემდგომ ეკრანზე განხორციელდა სოციოლოგიური ნარკვევი გმირზე, რომელიც ქარხნის კოლექტივმა თვითონ დაასახელა და სატელევიზიო გადაცემის ახალი ციკლის — „შემატებოდეს ლაშქარსა“ ღირსი გახადა. საზოგადოდ ტელევიზიამ გადაწყვიტა ყოველდღიურად ადევნოს თვალყური ახალ გმირთა დაბადებას, მათ მიკვლევასა და საქვეყნოდ გამოჩენას. ტელეეკრანის ასეთი ახალი გმირი „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის ხმათა უმრავლესობის მიხედვით ამჯერად 21-ე საამქროს ზეინკალი მიხეილ გოგოლაძე გახდა.

გადაცემის ერთ-ერთი ღირსება ის იყო, რომ მისი განხორციელებისას მაყურებელთა თვალწინ, მათივე თანდასწრებით იკვეთებოდა მშვენიერი მოთხრობა მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენელზე. დამაჯერებლობას, ზუსტად განსაზღვრულ უშუალობასა და ბუნებრიობას მ. გოგოლაძის მეგობრებიც ქმნიდნენ, რომლებიც მუშური გულწრფელობით, შესანატრი საქმიანი ტონით, გამართულად ლაპარაკობდნენ თავიანთ კოლეგაზე, ახასიათებდნენ მის დადებით მხარეებს. როცა მათ ვუსმენდით, არ შეიძლება არ გავმსჭვალულიყავით ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე რაზმის, მუშათა კლასისადმი დიდი სიმპათიის გრძნობით, ღირსეულად რომ ეჭირათ თავი მილიონიანი აუდიტორიის წინაშე.

ღირსება გადაცემისა „შემატებოდეს ლაშქარსა“ კიდევ ის არის, რომ მასში ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობა. მის საფუძველს ქმნის საინტერესო სოციოლოგიური დაკვირვება და კვლევის ჭვრეტითი მეთოდი. გადაცემისათვის გამოკითხვის წესით შეირჩა გმირი, რომელიც სწორუპოვარი აღმოჩნდა. წინასწარ გააზრებულმა კვლევამ გაგრძელება პოვა თვით გადაცემის მიმდინარეობის დროს.

გადაცემა მ. გოგოლაძეზე, ტელეეკრანის ახალ გმირზე, შეიძლება თამამად ითქვას, ისეთი ნაწარმოებია, რომელსაც ადრე, ჩვენს ცისფერ ეკრანზე ტოლი არ ჰყოლია. იმედი უნდა გვქონდეს, რომ მომავალში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები მაღალპროფესიულად მომზადებული გადაცემების წყალობით საპატიო ადგილს დაიჭერენ ჩვენს სატელევიზიო პროგრამებში.

სულ უკანასკნელ ხანს ლიტერატურულ-დრამატულ, მუსიკალურ, კინოგადაცემათა მთავარმა რედაქციებმაც საინტერესო ფორმებით გაამდიდრეს ჩვენი ცისფერი ეკრანის რეპერტუარი. ყველა გადაცემის აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ტელემაყურებლების უმრავლესობის დადებითი რეაქცია, რაც სოციოლოგიური კვლევითა და წერილების საშუალებით დასტურდება, მრავალი საჭირო ცვლილების უთუო მაჩვენებელია.

საქართველოს დღევანდელი ტელევიზიის ცხოვრება, როგორც ჩანს, საინტერესო გზით მიდის მისი ყოველი ფორმისა და ჟანრის გამოყენების თვალსაზრისით. გამოცოცხლება შემთხვევითი არ არის, იგი ჩვენი არსებობის კანონს ემყარება. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ძალუმი ფეთქვა მისი არ შენელდება, პირიქით, უფრო გაძლიერდება.

ნიკო ლეონიძე.

წლის ყოველ დროს თავისი ეშხი და ხიბლი აქვს, მაგრამ გაზაფხული მაინც სულ სხვაა, თვით გაზაფხულის თვეებიდან კი ფერებითა და სურნელებით მაისია უბადლო და გამორჩეული. ამიტომაც ზედგამოჭრილი დრო შეურჩევია საქართველოს ფაუნის მოყვარულთა კლუბს თავისი ნამუშევრების ექსპოზიციისათვის — 5-დან 9 მაისამდე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე გახსნილი იყო ამ კლუბის წევრთა მეხუთე რესპუბლიკური გამოფენა. გთავაზობთ ამ გამოფენიდან რამდენიმე მომენტს, რომელიც ფოტოობიექტივმა აღბეჭდა.

სურათებზე: მარცხნივ — „მეგობრები“. ზემოთ — „დამთვალიერებლები“; ქვემოთ — „გაცნობა“.

ა. საკოევის ფოტო.

ადამიანი და ბუნება

✦

იჭიკჭიკე, მერცხალო!

საქართველოში ბუდეს იკეთებს ოთხი სახეობის მერცხალი: ქალაქის, სოფლის, სანაპიროს და კლდის მერცხალი. ქალაქისა ეწოდება ფრინველს იმის გამო, რომ მას ბუდეების გაკეთება შენობების ქვის ან აგურის კედლებში ურჩევნია. სოფლის მერცხალი კი ნაკლებ მომთხოვნია და ხის შენობებზეც არ ამბობს უარს. რაც შეეხება სანაპიროს მერცხლებს, ისინი კოლონიებად სახლდებიან [illegible]

თბილისში ქალაქის მერცხლები სახლობენ. მათ ზურგზე მოლურჯო ფერი დაჰკრავთ, მუცელი კი თეთრი აქვთ. თბილისის მერცხლისათვის დამახასიათებელია მაღალი ტანი და გრძელი ფრთები, მაგრამ შედარებით მოკლე კუდი. ქართველებმა ამ მერცხალს კუდმაკრატელა შეარქვეს. იგი მოკლე ნისკარტით შეუმჩნევლად იჭერს მწერებს. ჰაერში მერცხლები გუნდებად და ძალიან სწრაფად: საათში 120-160 კილომეტრის სიჩქარით დაფრინავენ.

ბუდეებისათვის საშენ მასალად ისინი იყენებენ თიხას, ჩალის ღეროებს, კენჭებს. ბუდეებს მეუღლეები თანდათან აშენებენ, რათა ბუდის სველი კედლები გაშრეს და არ ჩამოინგრეს. ქალაქის მერცხლები ჩვენში ზაფხულის განმავლობაში ბარტყებს ორჯერ ჩეკავენ. მერცხლებს ხშირად აწუხებენ ბეღურები: იკავებენ ან ანგრევენ მათ ბუდეებს, მაგრამ ვალში არც მერცხლები რჩებიან, ცნობილია შემთხვევები, როცა მათ „აგრესორები“ თავიანთ ბუდეებში ამოუქოლავთ.

რ. ჟორდანია,
ორნიტოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„გაზაფხულის ისრები“

დღეს თბილისის იპოდრომზე იწყება უძლიერეს მშვილდოსანთა „გაზაფხულის ისრებად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. ასპარეზობა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დაწყებამდე თვეწახევრით ადრე ეწყობა, უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების მშვილდოსნებს ამ დიდი ფორუმისათვის მზადებაში.

გუშინ ასპარეზობაში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებისა და შეჯიბრებაზე აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრეს-კონფერენცია. დამსწრეთ ესაუბრნენ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი მშვილდოსნობაში გ. გორდიენკო და ასპარეზობის მთავარი მსაჯი ი. საიკო.

შეჯიბრებაში 40 ქალი და 66 ვაჟი მიიღებს მონაწილეობას. ცხადია, თბილისელ სპორტის მოყვარულებს ყველაზე მეტად დააინტერესებთ საბჭოთა მშვილდოსნობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ქეთევან ლოსაბერიძის გამოსვლა, მაგრამ ისინი არც სხვა სპორტსმენების წარმატებათა მიმართ იქნებიან გულგრილი. საქართველოს სსრ სპორტკომიტეტმა ჩვენი ქალაქის მკვიდრთა, სპორტის მოყვარულთა აზრიც გამოთქვა, როცა ასპარეზობის მონაწილეებისადმი მიმართვაში სპორტსმენებს მტკიცე მარჯვენა, გამჭრიახი თვალი და კარგი სპორტული განწყობილება უსურვა.

ჯ. ცინცაძე.

ყაბახი

დიდი პრიზი — ემანუილ რაშს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპრინტერთა გამარჯვებით დამთავრდა თბილისის ველოდრომზე საერთაშორისო ასპარეზობა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზისათვის“. ტურნირის მთავარი ჯილდო წილად ხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელს 22 წლის ემანუილ რაშს.

სპრინტში ცალკე გამოდიოდნენ უძლიერესი საბჭოთა ველოსიპედისტებიც. მათ შორის საუკეთესო იყო გივი დვალიშვილი.

ადგილიდან 1000 მეტრზე ჰიტში გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლოთარ ტომასმა მოიპოვა.

გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ოთხ კილომეტრზე ყველაზე სწრაფი გამოდგა მასპინძელი პეტრე ჩევარდოვი. გუნდური რბოლა ამ დისტანციაზე მოიგო საბჭოთა კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში პეტრე ჩევარდოვიც იყო.

60 წრეზე ჯგუფურ რბოლაში გაიმარჯვა ვ. პეტრაკოვმა. ამავე რბოლაში 75 წრეზე ყველაზე სწრაფი იყო თბილისელი სპორტსმენი 18 წლის ანატოლი სავოჟელეზოვი. მან შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

დაწინაურდა ზაიჩიკი

გუშინ დილით დამთავრდა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ასპარეზობის 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. პოდგაეცი თამაშის განუახლებლად დანებდა ჩიქოვანს, გურგენიძე — ჩეჩელიანს. ზაიჩიკ-ჩეჩელიანი, აზმაიფარაშვილი-პოდგაეცი და იზვოზჩიკოვ-გუფელდი ყაიმზე შეთანხმდნენ.

რამდენიმე პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. უბილავამ სავსებით მოსაგებ პოზიციის მიაღწია ლერნერთან და, ეტყობა, ისევ პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. საღამოს გაიმართა მორიგი, მეშვიდე ტური.

ზაიჩიკმა მოუგო ლუტიკოვს, იზვოზჩიკოვმა — ჩიქოვანს, პოდგაეცმა — ჩეჩელიანს. ყაიმზე შეთანხმდნენ უბილავა-აზმაიფარაშვილი და სტურუა-ლერნერი. გადაიდო გუფელდ-მიხალჩიშინისა და რომანიშინ-გურგენიძის პარტიები.

7 ტურის შემდეგ ზაიჩიკს 4 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, უბილავასა და რომანიშინს — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია.

სატურნირო ორბიტაზე

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედო“ ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკს“ შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

ასპარეზობას კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს იაროსლავლის „შინიკი“ — 19 ქულა (11 თამაშიდან). მეორეა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 16 (11-დან). 10-10 თამაშის შემდეგ მომდევნო ადგილებზე არიან ლვოვის „კარპატი“ — 15 და ქუთაისის „ტორპედო“ — 14 ქულა.

კრივი. ევროპის ჩემპიონატის ფინალში რვა საბჭოთა მოკრივემ გაიკაფა გზა. ესენი არიან: შ. საბიროვი, ნ. ხრაპცოვი, ვ. რიბაკოვი, ვ. დემიანენკო, ს. კონაკბაევი, ვ. სავჩენკო, ა. ნიკოლაიანი და ე. გორსტკოვი. კონტინენტის პირველობის დებიუტანტებმა ა. დუგაროვმა (51 კგ-მდე წონა) და ხ. ინჯიანმა (91 კგ-ზე მეტი) ნახევარფინალური ბრძოლები წააგეს და მათ ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად. ფინალური ორთაბრძოლები გუშინ გვიან დამთავრდა, მაშინ, როცა ჩვენი გაზეთი იბეჭდებოდა.

კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პროგრამით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ევროპაში სამი მატჩი გამართა და სამივე წააგო. მესამე შეხვედრა მათ დათმეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან ანგარიშით — 75:77 (26:41). კარგად ასპარეზობენ ფრანგები. მათ მესამე მატჩი მექსიკელებთან მოუწიათ და ამჯერადაც გაიმარჯვეს — 109:82 (55:45). სსრ კავშირის ნაკრებმა ჯერჯერობით 2 შეხვედრა გამართა და ორივე მოიგო. დღეს კიევში საბჭოთა კალათბურთელები შეხვდებიან მექსიკელებს.

ველორბოლა. მშვიდობის ველორბოლის მეორე ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა სსრ კავშირის ნაკრები. შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიელი და პოლონელი ველოსიპედისტები. პირად ჩათვლაში ლიდერობს ბულგარელი სტაიკოვი, მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი კლასა, ხოლო მესამეზე საბჭოთა ველომრბოლელი ნიკიტენკო.

ტანვარჯიში. კოპენჰაგენში დამთავრდა ევროპის პირველობა ქალთა შორის. ყველას აჯობა რუმინელმა ნ. კომენეჩიმ (39,4 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა რუმინელმა ე. ებერლემ (38,85), მესამე — როსტოველმა ნ. შაპოშნიკოვამ (38,75), მეოთხე — მოსკოველმა ე. მუხინამ (38,7 ქულა).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია —

13 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მხატვრის სამყარო“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30—მაღვიძარა (მ.), 11.00 — ცეროდენას ეკრანი, 11.20 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 11.50 — დოკუმენტური ფილმი „მინა და მხატვარი“. (ქართულ ენაზე (ფ.), 12.00—„სტუმრად ზღაპართან“ — პოლონური მულტიპლიკაციური ფილმი „პოლონური თქმულებანი“ (მ.), 13.00 — მუსიკალური კიოსკი (მ.), 13.30 — მოსწავლეთათვის „ნორჩ წიგნის მოყვარულთა კლუბი“, 14.00 — კინოაფიშა, 14.25 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები“ — დრეზდენი (ფ.), 14.55 — დოკუმენტური ფილმები, 15.30 — ვერნისაჟი, 15.40 — კინოს მოყვარულთათვის, 16.50 — გეპატიჟებით საკონცერტო დარბაზში (ფ.), 17.40 — კინომოგზაურობის კლუბი (მ.), 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — სტუდენტობა, ჩვენი სიამაყე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუქი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.10 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი“—მეორე სერია (ფ.), 16.15 — კონცერტი (ფ.), 16.40 — დოკუმენტური ფილმი „რუსეთი არ დაივიწყებს“ 17.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „გოგიტა“, 18.20 — მხატვრული ფილმი „ძია ვანია“.

თეატრი —

13 მაისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ჟიზელი** (დღისით), **აბესალომ და ეთერი** (საღამოს, 29-ე აბონ. პირველი წარმ.); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მე, ბებია, ილიკო და ილარიონი** (დღისით); **კავკასიური ცარცის წრე** (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შთამომავლობა** (დღისით), **საბრალდებო დასკვნა** (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **თერძი კატა** (დღისით), **მარაო** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ლუარსაბ თათქარიძე** (პრემიერა); მეგების თეატრი — **სამგროშიანი ოპერა**; რუსთავის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — **რას იტყვის ხალხი?!**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **ესმერალდა**.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე 02176   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16